

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი ტექნფორმი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია

II საერთაშორისო კონფერენცია

ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

თბილისი
2020

საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა მაჭავარიანი (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე), ლინდა გიორგაძე, ქეთევან დათუკიშვილი, ლევან ვაშაკიძე, თეონა ლაფაური, ნელი მახვილაძე, ეკატერინე ნავრო-ზაშვილი, რუსუდან პაპიაშვილი, ნინო სხირტლაძე, ნათია ფუტკარაძე, ლია ქაროსანიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, ნინო ღლონტი.

სარედაქციო კოლეგია:

შუქია აფრიდონიძე, ციცინო გაბესკირია, გურამ გოგიშვილი, ნინო დათეშიძე, თამარ ვაშაკიძე, ზაალ კიკვიძე, ნანა ლოლაძე, თინათინ მარგალიტაძე, არჩილ მაღალაშვილი, დამანა მელიქიშვილი, ნათელა მუზაშვილი, სალომე ოშიაძე, მარინე ოსაძე, სარა სლაი, ლიანა სუთიძე, რამაზ ქურდაძე, ვაჟა შენგელია, ომარ შურაძე, თამაზ ხმელიძე, ინგა ჯიბუტი.

კონფერენციის
მასალები

ინგა ადამია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
inga_adamia@mail.ru

ეთერ ჭურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
etosvireli@gmail.com

ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის საკითხისათვის

საზღვაო დარგში პირველი ქართული ლექსიკონი 1985 წელს გამოიცა სახელწოდებით „საზღვაო ტერმინოლოგია“. ეს არის ქართველი მეზღვაურისა და შორეული ნაოსნობის კაპიტანის - ვახტანგ ბარათაშვილის მიერ შედგენილი სპეციალური დარგობრივი ლექსიკონი, რომელიც ორი, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, ნაწილისაგან შედგება. ლექსიკონი მიზნად ისახავდა საზღვაო სფეროს ძირითადი ცნებების თავმოყრას და მეცნიერულად დაზუსტებული და უნიფიცირებული შესატყვისების განსაზღვრას რუსულ და ქართულ ენებზე. ეს იყო ქართული საზღვაო ტერმინებისა და ტერმინოლოგიური შესიტყვებების გაერთიანების პირველი მცდელობა, რომელთა უმრავლესობა სხვა ლექსიკონებში მანამდე არ შესულა და არც საცნობარო ლიტერატურაში იყო დაფიქსირებული. მხოლოდ ცალკეულ ლექსიკონში, მათ შორის, 1977 წელსა და 1982 წელს რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის საერთო რედაქციით გამოცემულ „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ შესული საზღვაო ტერმინოლოგიის ნაწილი, რომელშიც განსაკუთრებით მრავლადაა საზღვაო-საინჟინრო ტერმინები.

ორი ათეული წლის შემდეგ, 2009 წელს, გამოიცა „ილუსტრირებული საზღვაო ტექნიკური ტერმინოლოგია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე“, სასწავლო სახელმძღვანელო, რომელიც შეადგინა ინჟინერ-მექანიკოსმა – როლანდ რიჩკოვმა. ეს ლექსიკონი 2010-2011 წლებში ასევე სხვადასხვა რედაქციით გამოიცა. „საზღვაო ტექნიკური ტერმინოლოგია“ გვთავაზობს გემის კორპუსის და მისი ნაწილების, გემბანის მოწყობილობების, ძალოვანი დანადგარის, დამხმარე მექანიზმების, სისტემების და გემზე არსებული სხვა მოწყობილობების ნახაზებს და დეტალების სკრუპულოზურ ტერმინოლოგიურ განსაზღვრას, გარემოს დაცვის, ელექტრომოწყობილობების, ტექნიკური მომარაგების ტერმინებს და ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს, აგრეთვე სტანდარტულ ბრძანებებს გემის მართვისას.

პირველი ქართული საზღვაო ლექსიკონის მნიშვნელობა ფასდაუდებელია, რომელმაც ბიძგი მისცა ამ ტექნიკური დარგის ტერმინოლოგიის მეცნიერულ შესწავლას. თუმცა დარგის განვითარების დონის გათვალისწინებით, რომელიც 21-ე საუკუნეში განსაკუთრებული ინტენსიურობით წინ მიიწევს, ლექსიკონი არასრულია. ხოლო მეორე ლექსიკონის მიზანი სტუდენტებისა და მეზღვაურებისთვის თვალსაჩინოების საფუძველზე ქართულენოვანი საზღვაო ტერმინოლოგიის და მისი შესატყვისი ინგლისური და რუსული ტერმინების გაცნობაა. მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია და ავსებს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის სფეროში არსებულ ლაკუნას, ამავე დროს, უცხოური ენებიდან ხშირად ტრანსლიტერაციის გზით შექმნილი ტერმინებითაც, მაინც სრულად ვერ ასახავს ნავიგაციის განვითარებას. აქედან გამომდინარე, ქართული საზღვაო ტერმინოლოგია, რომელიც კვლავ უნდა შეივსოს საზღვაო ფლოტისა და თანამედროვე სანაოსნო სფეროსთვის ნიშნული ცნებებითა და შესაბამისი ტერმინებით, დღესაც ჩამოყალიბების პროცესშია.

ალბინა აუქსორიუტე

ლიეტუვეური ენის ინსტიტუტი, ლიეტუვა
albina.auksoriute@gmail.com

ლიეტუვეური ბოტანიკური ტერმინების შექმნა და განვითარება

მოხსენება წარმოადგენს ლიეტუვეურ ენაში ნომენკლატურული სახელების (ტერმინების) განვითარების გზის მოკლე მიმოხილვას, კერძოდ, ბოტანიკის დარგში, და მიმოიხილავს მათი შექმნის წყაროებსა და საშუალებებს. მე-19 საუკუნეში დაიწყო ლიეტუვეურ ენაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგის ტერმინოლოგიის სისტემური მოწესრიგება და ტერმინების შექმნა, კერძოდ, მას შემდეგ, რაც გამოიცა ბოტანიკური ტერმინების და მცენარეთა სახელების პირველი ლექსიკონები (J. A. Pabrėžaand; L. Ivinskis).

ბოტანიკის დარგში ნომენკლატურული სახელების შექმნაზე საგანგებო მუშაობა დაიწყო მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. ბოტანიკის დარგისა და მცენარეთა სახელების საუკეთესო ტერმინოლოგიური ლექსიკონები გამოიცა 1940 წლამდე. ეს არის *Lietuviškąsbotanikos žodynas* (ბოტანიკური ლექსიკონი ლიეტუვეურ ენაზე) და *Lietuvos TSR flora* (ლიტვის სსრ ფლორა, 6 ტომი) (1959-1980). ეს იყო ბოტანიკის დარგის ლიეტუველი სპეციალისტების უდიდესი ნამუშევარი მე-20 საუკუნეში.

2002 წლიდან ლიეტუვეური ენის სახელმწიფო კომისიის ტერმინოლოგიის ქვეკომისიამ, ბოტანიკის სპეციალისტებთან ერთად, განიხილა და დაამტკიცა ახალი ტერმინები, კერძოდ, მცენარეთა ახალი დასახელებები, რომლებიც ადრე ლიეტუვეურ ენაში არ მოიპოვებოდა. ამ მცენარეების უმრავლესობა ლიეტუვაში ზოგადად ახალია. ჩვენს მოხსენებაში განიხილება მათი სახელების შექმნის გზები და წყაროები.

ნარგიზ ახვლედიანი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბსუ, ბათუმი
nargiz.akhvlediani@bsu.edu.ge

რამდენიმე ტერმინისათვის აჭარულში

ყოველი დიალექტის სიტყვობრივი მარაგის შესწავლა უნდა ემყარებოდეს სოფელ-სოფელ ზუსტად და სანდოდ ჩაწერილ ტექსტებს, ცოცხალ საუბარზე დაკვირვებას და ლექსიკის დარგობრივ კვლევას. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ შევძლებთ დიალექტური ლექსიკის ამომწურავ ფიქსაციას. ძველი თაობა ადრე თუ გვიან, ბუნებრივია, მიდის და თან მიაქვს ძველი ყოფის, მეურნეობის და მოსაქმეობის ამსახველი სიტყვები. ზოგჯერ სიტყვა ერთს ან რამდენიმე ოჯახშიდა ცოცხლობს. სალიტერატურო ენას დაუფლებული, ურბანიზაციის პროცესის ძლიერი გავლენის ქვეშ მოქცეული ახალი თაობა ცხოვრების ახალი წესის წყალობით წინაპართა ბევრ სიტყვას არ საჭიროებს, არ იცნობს, და ცხადია, არც იყენებს. ყოველივე ამის გამო დიალექტური სიტყვების გამოვლენა და დაფიქსირება მეტად საშურ

და აქტუალურ საქმედ მიიჩნევა. ამჯერად საილუსტრაციოდ წარმოვადგენ რამდენიმე მათგანს. ასე მაგ., არმივი//არჩივი, ბადურა, ბოლი, ეგრი, ვარელი, ზარმელი, ზოფა, თართქლა, კარაჭინი, კაპიწი, კიპაი, კუკუმჟავა, ლენჩბერი, მეში, მახარა, მერცხალი, ნატა, ოგეჯი, ოქუჯი, ოდაბუნი, ქვერი, პწკალა, პრუნჭულა, სამიელი, სარსი, საური, სკენჯი, ტალდა, ტუკი, უხდური, ფაყვა, ფრული, ქერეჭი, ქუმელა, ღაჯაჯი, ღინკი, შაშორთი, შელთეხა, ჩაქურა, ჩაფულია, ჩილატანი, ჩალარდანი, ჩოროთანი, ცხვედაი, ძირხინა, წაფელი, წაკატი, წალტე, წიტი, წო, წოწოქა, ჭახე, ჭაჭა, ჭაიწვენა, ჭყიპია, ხალტა, ხოკერი და ა.შ.

ნაირა ბეპიევი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
bepieva.naira@gmail.com

ენობრივი დარღვევები ქართულ პრესაში

ენობრივ დარღვევა-შეუსაბამობებზე ბოლო ხანებში მრავალი საგულისხმო და საჭირო ნაშრომი გამოიცა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა სახის ენობრივი დარღვევები კვლავაც მრავლად გვხვდება, რაც განსაკუთრებით ხშირად ვრცელდება ინფორმაციის საშუალებებით.

ჩვენს ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ ქართულ პრესაში დაშვებულ ზოგიერთი სახის დარღვევაზე: **-თან** და **-ზე** თანდებულიან კონსტრუქციაზე; თემატურად - სპორტის ლექსიკისათვის დამახასიათებელ დარღვევებზე და სხვ., რაც თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიისა და ორთოეპიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

თანდებული - **თან** აღნიშნავს ისეთ მდებარეობას, როდესაც საგნის გვერდით, მასთან ერთად, მასთან ახლოს მდებარეობაა მისანიშნებელი. **-თან** თანდებულიანი სახელზმნური კონსტრუქცია შეიძლება მიმართულებასაც აღნიშნავდეს ბურთთან მიდის, ბურთთან მიიღბინა. მაგრამ უმთავრესად მისი დანიშნულებაა მდებარეობის აღნიშვნა: ვისთან? რასთან?

-თან და -ზე თანდებულიანი სახელების მეშვეობით ადგილი ყოველთვის დაკონკრეტებულია. სახლთან სხვა ნიუანსია, სახლზე - სხვა. ხიდთან სხვაა, ხიდზე - სხვა. აქ აღრევა გამოირიცხულია. ერთადერთი გამონაკლისია ამ თანდებულების ხმარება საწყისთან - **გაჩერება**.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: **გაჩერება - გაჩერება** (გაჩერებისა) სახელი გააჩერებს, გაჩერდება ზმნათა მოქმედებისა. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა: **სპეც. ადგილი, სადაც ტრანსპორტის რაიმე საშუალება ჩერდება მგზავრების ასასვლელ-ჩამოსასვლელად**.

ამ სიტყვას (**გაჩერება**) დაერთვის მრავალი თანდებული - **კენ**, **-თან**, **-ზე** (სხვადასხვა ბრუნვაში). ხშირად იხმარება ორი ფორმა: **-თან** თანდებულიანი და **-ზე** თანდებულიანი. ორივე ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი თანდებულია, მაგრამ განსხვავებული ნიუანსებით. ერთი, **-თან** **თანდებულიანი** ფორმა, აღნიშნავს თანამიმდებარე ადგილს. მოგვიგებს კითხვაზე - რასთან? მაგიდასთან; მეორე - **-ზე-თანდებულიანი** ფორმა აღნიშნავს ზემოთ მდებარეობას. მაგ.: მაგიდაზე, სახურავზე, ბოლო ხანებში გაჩნდა ტენდენცია, სიტყვა გაჩერებას დაურთონ პარალელური მნიშვნელობით **-თან და -ზე თანდებულები**, რაც არასწორად მიგვაჩნია. **გაჩერებაზე**

დგას ავტობუსი, სწორია, მაგრამ გაჩერებაზე დგას ადამიანი უმართებულოა, სწორია შესიტყვე-
ბა გაჩერებასთან დგას. არასწორად ხმარება იწვევს აზრის გაბუნდოვანებას.

არასწორია: გაჩერებაზე ვიდგები. გაჩერებაზე გავჩერდი. გაჩერებაზე დაგიცდი. უნდა
იყოს: გაჩერებასთან ვიდექი. გაჩერებასთან გიცდიდი.

ნაშრომში ასევე განხილულია ქართულ პრესაში დაშვებული ტერმინოლოგიური თუ
სხვა სახის დაღრვევები.

ხათუნა ბერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

beridze@bsu.edu.ge

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების პარალელური ტექსტების ლინგვისტური ანალიზატორით კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგები

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ანალიზი ლინგვისტური
ანალიზატორის გამოყენებით საცდელი ვერსიით 2017 წლიდან დავიწყეთ. კვლევაში მონაწი-
ლეობდნენ მაგისტრების ჯგუფები. 2020 წელს ანალიზატორი კვლევისთვის წარმატებით გამო-
იყენა დოქტორანტმა. სტუდენტები იკვლევდნენ თითოეულ საანალიზო ერთეულს. ნაშრომის
დასრულების შემდეგ კვლევის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს თემის ხელმძღვა-
ნელი და რეგენზენტები დამატებით ამოწმებდნენ. სადღეისოდ ანალიზატორი ფუნქციურია,
გამართულად მუშაობს და ბსუ-ს ბაზაზეა განთავსებული. კვლევისას გამოვიყენეთ IATE-ს და
EURO-LEX-ის ბაზები. გავეცანით ევროკავშირის სტანდარტებს თარგმანის შესახებ, ევროკავში-
რის რამდენიმე ქვეყნის ენაზე თარგმნილი ტექსტების რედაქტირებისას აღმოჩენილი შეცდო-
მების კვლევით ანალიზებს.

ტექნიკური სამუშაოები:

კორპუსის ანალიზატორში მოსათავსებელი ტექსტების სამეცნიერო დამუშავების თი-
თოეული ეტაპზე აუცილებელია მეთოდოლოგიური და ტექნიკური სიზუსტის დაცვა. მარკი-
რება ხანგრძლივი პროცესია. თეგებით აღიჭურვება ტერმინები და ფრაზები პარალელურ ტექ-
სტებში. აუცილებელია დამატებით შემოწმდეს, რომ თითოეული ტერმინი თუ ფრაზა იძებნება
ინგლისურ დედანსა და ქართულ თარგმანში. პროგრამა ტექსტებს პარალელურად ალაგებს აბ-
ზაცების შესაბამისად და გვაძლევს პარალელურად განთავსებულ მონაცემებს. კორპუსის ანა-
ლიზატორით მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხობრივი ანალიზი კვლევის მო-
მდევნო ეტაპია.

კვლევის შედეგები:

2017-2020 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული და გაანალიზებულია
ინგლისურენოვანი ხელშეკრულების ქართული თარგმანიდან 200-ზე მეტი იურიდიული და
ეკონომიკური ტერმინის პარალელური მონაცემი და დამატებით 14 მარკირების ერთეულით

(თეგით), როგორცაა კოლოკაცია, კალკირება, ტავტოლოგია, ლექსიკური დამატება, მთარგმნელობითი შეცდომა (მაგ. *marking or labelling* თარგმნილია როგორც *ნიშანდება და ეტიკეტირება*) და ა. შ.

მიღებული შედეგები:

რაოდენობრივი კვლევით მიღებული მონაცემები გამოვიკვლიეთ ხარისხობრივად. დავადგინეთ ტერმინების გამოტოვებების, არასწორად გაგების, ტრანსლიტერაციით შეუსაბამო გადმოტანის, ერთი და იმავე ცნების სხვადასხვა ტერმინით გადმოტანის შემთხვევები. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება მიღებული შედეგები, თეორიული მოსაზრებები და მაგალითები.

შესაძლებლად მიგვაჩნია კვლევის შედეგად მიღებული ტრანსლიტერაციით გადმოტანილი ტერმინების დიდი წილის ქართული შესატყვისებით ჩანაცვლება, მაგ.: *პრეფერენციული რეჟიმი*, *პრეფერენციული წესები*, *პრეფერენციული სისტემა*, *პრეფერენციული სატარიფო რეჟიმი*, *ანტიდემპინგის შეთანხმება*, *დემპინგის ზღვარი*, *ანტიდემპინგის და საკომპენსაციო ზომები*, *ადვალორული კომპონენტი* და ა. შ.

მერაბ ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე
merab.beridzee@gmail.com

ნინო ზედგინიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე
ninozedginidze404@gmail.com

ონომასტიკური ტერმინოლოგია და მესხური დიალექტი

ცნობილია, რომ საერთაშორისო ონომასტიკურ ტერმინთა უმრავლესობა, ბერძნულისა და ლათინური ენების ნასესხობებს წარმოადგენს. ტერმინთა დანიშნულების ზუსტ განსაზღვრას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლინგვისტური პრობლემის კვლევის დროს, აუცილებელია აგრეთვე ტერმინთა თარგმნის სიზუსტე და გამჭვირვალობა. ეს საკითხი უკავშირდება ცალკეული ტერმინოლოგიური სისტემების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ტოპონიმიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა გეოგრაფიული ტერმინების ანალიზი. იგულისხმება მთა, გორა, ხევი, ველი და ა.შ. მათი სემანტიკა და გამოყენება ტოპონიმთა წარმოებისას (ჯორბენაძე). ონომასტიკურ ტერმინოლოგიაში ასახულია დიალექტური თავისებურებები, რომელიც მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ამა თუ იმ დიალექტის ენათმეცნიერული შესწავლისათვის.

ონომასტიკა ყოველთვის ეყრდნობოდა სახელთა ბუნებრივ ნიშანს. ამ დისციპლინაში, კონკრეტულ ნიშნებში ინფორმაციის კონცეფცია ჩვეულებრივ გათვალისწინებულია (ედენბერგი). კონკრეტული ადგილის სახელები ზოგადად უკავშირდება რეალურ გეოგრაფიულ ერთეულებს. ხშირ შემთხვევაში ადგილის სახელები წარმოადგენს ზოგადად გეოგრაფიულ ერთეულებს, იგივე გეოგრაფიულ ტერმინებს. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია ადგილის სახელები მოვაქციოთ ბიბლიოგრაფიული ინდექსებისთვის კარგად გააზრებულ და შემუშავებულ მეთოდ-

დებს შორის, რაც გულისხმობს საკუთარი სახელის განზოგადებას და შემდგომ ონომასტიკურ ტერმინად ქცევას (ედენბერგი).

მესხეთის ონომასტიკური ტერმინოლოგიის შესწავლა მნიშვნელოვანია, როგორც ლინგვისტური თვალსაზრისით, აგრეთვე მას აქვს დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა. მესხეთის ონომასტიკურ ტერმინოლოგიაში დასტურდება როგორც მესხური დიალექტის ფორმები, მაგ: მთა ქართულ ენაში მიღებული განმარტების თანახმად დედამიწის ამაღლებული ადგილია, რომელიც თავისი სიმაღლით თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს (ქეგლი). სიტყვა მთას ქართულ დიალექტებში — იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში, აჭარულში, მესხურსა და გურულშიც, როგორც ეს ტოპონიმიში აისახა, აქვს თა ფორმა. თავალა არის დიალექტური ფორმა აღმართის მნიშვნელობით, ეს ფორმა დასტურდება ადგილის სახელად მესხეთში და ა.შ. გარდა დიალექტური ფორმებისა გვხვდება ენობრივი შერევებიც, კერძოდ, ქართულ-თურქული. მაგალითად, ძაღლა - მთა, რომელსაც საზაფხულო საძოვრებად იყენებდნენ, მაღლა-მაჰლა - უბანი და სხვა (ბერიძე).

დიეგო ა. ბურგოსი

ვეიქ ფორესტის უნივერსიტეტი, აშშ

burgosda@wfu.edu

ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა შედგენილობის ახლებური ხედვა

არსებული დარგობრივი ლიტერატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტერმინოლოგიური შესიტყვებები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე – ერთსიტყვიანი ტერმინები (Justeson and Katz, 1995; Zelinsky-Wibbelt, 2012; Fuertes and Piqué 2015; Daille 1994; Hippisley, Cheng, Ahmad 2005). ამის მიუხედავად, მცირეა იმ ნაშრომთა რიცხვი, რომლებშიც ტერმინოლოგიური შესიტყვებების განმარტებასა და მათი წარმოების მექანიზმზე ინფორმაციას შეხვდებით. როგორც ჩანს, ასეთი ტერმინის განმარტება და მისი შედგენილობის დამახასიათებელი ნიშნები თავისთავად გასაგებადაა მიჩნეული. ზოგი ავტორი (Wright 1997:14; Sager 1978) ვარაუდობს, რომ ტერმინოლოგიური შესიტყვებები არ არის კომპოზიციური, არ აქვთ კომპოზიციური სემანტიკა, მაგრამ ბევრი მათ კომპოზიციურ ტერმინებად მიიჩნევს (L'Homme 2004: 59; Navigli et al. 2003; McCray et al. 1994; Morin and Daille 2010).

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნება ტერმინოლოგიური შესიტყვებების აღწერისა და გამოყენების საკითხებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. შემოგთავაზებთ ჩვენს ხედვას ამგვარი წარმოების ტერმინთა სემანტიკაზე, ხელოვნურ ინტელექტში ინფორმაციის ასახვასა და სინტაქსზე, ტერმინის შედგენილობაზე. ეს მიდგომა ეყრდნობა ტერმინად ქცევას (შესიტყვების ტერმინად აღიარებას), რომელიც დადგენილია სხვა ავტორთა მიერ (Cabré 1999:48). ასეთი მიდგომის ყურადღების ცენტრში მოქცეულია არა სინ-

ტაგმატურობა (სინტაგმის სიმყარის ხარისხი), არამედ კონკრეტული რამდენიმესიტყვიანი შესიტყვების ერთიანობა და საზღვრები, რაც გადაწყვეტი ნაბიჯია ტერმინად ქცევისათვის.


ჩვენი აზრით, იმისთვის, რომ კონკრეტული მრავალსიტყვიანი თანმიმდევრობა ჩაითვალოს ტერმინოლოგიურ შესიტყვებად, საჭიროა, რომ მისმა მთავარმა (წამყვანმა) სიტყვამ შეიცვალოს თავისი, სულ ცოტა, ერთი მახასიათებელი, რაც გამოწვეული იქნება იმ, სულ მცირე, ერთი მახასიათებლით, რომელსაც აქვს მნიშვნელობის გადაწევის თვისება. გარკვეული თვალსაზრისით, ეს იძლევა არაკომპოზიციურობას. მაგალითისთვის ავიღოთ ტერმინოლოგიური შესიტყვება *eye diagram - თვალის დიაგრამა* და დავადგინოთ მსაზღვრელისთვის დამახასიათებელი სემანტიკური თვისებები ამ ტერმინოლოგიური შესიტყვების თითოეული კომპონენტისთვის:

სიტყვა **თვალი**:

- <CAT>= სახელური ფრაზა
- <მთავარი არსი> = სხეულის ნაწილი
- <მთავარი ნიშანი> = ფორმა

სიტყვა **დიაგრამა** :

- <CAT>= სახელური ფრაზა
- <მთავარი ფუნქცია> = თვალსაჩინოება
- <მთავარი არსი>= გამოსახულება
- <მთავარი ნიშანი> = []



თვალის დიაგრამა

საყურადღებოა, რომ მაშინ, როცა მნიშვნელობის მცვლელ სიტყვა *თვალს* აქვს სხვადასხვა ღირებულება თითოეული საზღვრულისათვის, *დიაგრამის* მნიშვნელობა დამოკიდებულია ფორმაზე, რომელიც განსაზღვრავს მის სახეობას. როცა *დიაგრამა* მიიღებს სიტყვა *თვალისგან* *ფორმის* მნიშვნელობას, ის გახდება დიაგრამის კონკრეტული, განსაზღვრული ტიპი – *თვალის დიაგრამა*.

ეს მაგალითი არ აკმაყოფილებს კომპოზიციურობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ყველა რთული შედგენილობის გამოთქმის მნიშვნელობა დამოკიდებულია მხოლოდ მის სინტაქსურ აგებულებასა და მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობებზე. ერთი მხრივ, ზემოხსენებული ნიმუში წარმოადგენს მნიშვნელობის გადაწევის უფრო ფართო მეტაფორული გამოყენების მაგალითს კონკრეტულ შესიტყვებაში, რომელშიც ცალკეული ცნების ძირითადი მნიშვნელობა ვერ იქნება გამოყენებული განსხვავებული შედგენილობის ტერმინოლოგიური შესიტყვებისათვის. მეორე მხრივ, ყველა სახის თვისებიდან მხოლოდ ერთი უკავშირდება უშუალოდ მთავარ სიტყვას (ამ შემთხვევაში ესაა *ფორმა*). შესაბამისად, სიტყვათა თანმიმდევრობის მარტივი კომპოზიციური სახესხვაობა საკმარისი არ იქნება სწორი დასკვნის გამოსატანად, იმის დასადგენად, თუ რომელი ნიშან-თვისება უკავშირდება მას.

ჩვენ წარმოვადგენთ დამატებით მტკიცებულებას სხვადასხვა შემთხვევისათვის, რაც გაამყარებს ჩვენს შეხედულებას, რომ შევამოწმოთ აღნიშნული მოდელი განსხვავებულ გარემოებებსა და სხვადასხვა ენაში.

დამოწმებანი:

- CABRÉ, M. T., & Sager, J. C. (1999). *Terminology: Theory, methods, and applications*. Amsterdam; Philadelphia: J. Benjamins Pub. Co.
- DAILLE, B. (1994). Study and implementation of combined techniques for automatic extraction of terminology. In *The balancing act: Combining symbolic and statistical approaches to language*.
- FUERTES-OLIVERA, P. A., & PIQUÉ-NOGUERA, C. (2015). The literal translation hypothesis in ESP Teaching/Learning environments. *Scripta Manent*, 8(1), 15-30.
- HIPPISLEY, A., CHENG, D., & AHMAD, K. (2005). The head-modifier principle and multilingual term extraction. *Natural Language Engineering*, 11(2), 129-157.
- JUSTESON, J., & KATZ, S. (1995). Technical Terminology: some Linguistic Properties and an Algorithm for Identification in Text. *Natural Language Engineering* (1), 9-27.
- L'HOMME, M. C. (2004). *La terminologie: principes et techniques*. Presses de l'Université de Montréal.
- MCCRAY, A. T., SRINIVASAN, S., & BROWNE, A. C. (1994). Lexical methods for managing variation in biomedical terminologies. In *Proceedings of the Annual Symposium on Computer Application in Medical Care* (p. 235). American Medical Informatics Association.
- MORIN, E., & DAILLE, B. (2010). Compositionality and lexical alignment of multi-word terms. *Language Resources and Evaluation*, 44(1-2), 79-95.
- NAVIGLI, R., VELARDI, P., & GANGEMI, A. (2003). Ontology learning and its application to automated terminology translation. *IEEE Intelligent Systems*, 18(1), 22-31.
- SAGER, J. C. (1978). Commentary by Prof. Juan Carlos Sager. In Rondeau, G. (Ed.), *Proceedings of Table Ronde sur les Problemes du Decoupage du Terms*, Montreal, 26 August 1978, pp.39-74 Quebec. AILA – Comterm, Office de la Langue Francaise
- WRIGHT, S. E., & BUDIN, G. (1997). *Handbook of Terminology Management. Vol. 1, Basic Aspects of Terminology Management*. John Benjamins publishing company.
- ZELINSKY-WIBBELT, C. (2012). Identifying term candidates through adjective-noun constructions in English. *Terminology* 18(2). 226-242.

ციცინო გაბესკირია

თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი
ciciana@hotmail.com

პრეფიქსაცია, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახე მათემატიკურ ტერმინოლოგიაში

ტერმინი არის სპეციალური დანიშნულების მქონე ენობრივი ერთეული და იგი, როგორც წესი, უცხო ენებიდან ითარგმნება. თარგმნის სისტემა ენის შესიტყვებებთან მიმართებაში უნდა ემყარებოდეს როგორც უცხო, ისე ქართული ენის საფუძვლებს.

ტერმინოლოგიის სრული უნიფიცირება შეუძლებელია. ენაში ყოველთვის რჩება გარკვეული სიჭრელე. ამიტომ სასურველია დადგენილ იქნას ის კანონზომიერება, რაც განაპირობებს ქართულ ტერმინთა ნაირგვარობას.

უცხო ტერმინთა ქართულ ენაზე გადმოცემისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეფიქსებს (თავსართებს). ეს პრეფიქსები, რომლებიც ქართულში სხვადასხვა უცხო ენიდან შემოვიდა, იმ ენებშიაც ძირითადად ლათინური და ბერძნული ენებიდან არის შესული.

სტატიაში მოცემულია იმ პრეფიქსთა სია, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება მათემატიკურ ტერმინთა საწარმოებლად. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ უცხოური პრეფიქსებით ნაწარმოები ტერმინების სრულად გადმოქართულება შეუძლებელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ენათმეცნიერთა და დარგის სპეციალისტთა (ამ შემთხვევაში, მათემატიკოსთა) ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი იქნება იმ ტერმინთა რაოდენობის გაზრდა, რომლებშიც უცხოური პრეფიქსები ქართული შესატყვისებით არის ჩანაცვლებული, მაგ. ურთიერთქმედება, მრავალწევრი, თანახება, ნახევარღერძი, წინასახე, თვითშეუღლებული, თვითშექცეული და სხვა.

მერი გიორგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
maiaგიორგაძე@ymail.com

ნინო ქემერტელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
ninokeme@yahoo.com

ინგლისურენოვანი მეტაფორული სამედიცინო ტერმინების ქართული შესატყვისებისათვის

მეტაფორა სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ტროპული სახეა და გულისხმობს ერთი საგნის თვისების მეორეზე გადატანას ანალოგიის პრინციპით. მეტაფორა სტილისტურ ხერხად იქცევა მაშინ, როდესაც ორი სრულიად განსხვავებული ცნება ერთიანდება რაიმე განსაკუთრებული თვისებით, რომელიც ერთ-ერთ მათგანს რეალურად არ ახასიათებს.

ტერმინის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება, რომლითაც ის მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივი სიტყვისგან, არის მისი ემოციურ-ექსპრესიული ნეიტრალურობა. მიუხედავად ამისა, ტერმინოლოგიურ სისტემაში ხშირად გვხვდება მეტაფორა ტერმინთქმნადობისას. ხშირად მნიშვნელობათა გადატანა და მათი საშუალებით ტერმინების შექმნა მეტად მნიშვნელოვანი პროცესია, მაგალითად, **ყრუ კედელი**.

ეს პროცესი განსაკუთრებით გამოიკვეთა სამედიცინო სფეროში. სამედიცინო ტერმინთა დიდი ნაწილი სწორედ მეტაფორული ტერმინებია. განსაკუთრებით დიდია მათი წილი ინგლისურენოვან სამედიცინო ტერმინოლოგიაში. ერთ-ერთი პრობლემა ამგვარი მეტაფორული ტერმინებისათვის ქართული შესატყვისების მოძიებაა.

მეტაფორა ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ხშირად გვხვდება ტერმინთა საწარმოებელ საშუალებად.

წინამდებარე კვლევის საგანია სამედიცინო ტერმინოლოგიაში მეტაფორულ ტერმინთა გამოვლენა და მათი კლასიფიკაცია.

მოხსენებაში განხილული და გაანალიზებული იქნება სხვადასხვა დაავადებისა და სინდრომის მეტაფორული სახელწოდებები ინგლისურ ენაში და მათი ქართული შესატყვისები. საკვლევი მასალის კლასიფიკაციის შედეგად გამოიყო რამდენიმე ჯგუფი.

ნანა გოგია

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თბილისი

nanagogia22@gmail.com

21-ე საუკუნის დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოწვევები და შესაძლებლობები

მას შემდეგ, რაც თარგმანმცოდნეობა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად 21-ე საუკუნეში, მკვეთრად გაიზარდა იმ მკვლევართა რიცხვი, რომელნიც იკვლევენ თარგმანს და მის პრაქტიკულ მხარეს. ამასთანავე, მზარდი ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული განვითარების გამო თარგმანი, როგორც დარგი, დიდი მოთხოვნით სარგებლობს. შესაბამისად, ვითარდება თარგმნის საშუალებები და რესურსები, ხოლო მთარგმნელობითი კვლევის პერსპექტივები მუდმივად ფართოვდება. 90-იანი წლებიდან მოყოლებული კომპიუტერული დამხმარე მთარგმნელობითი საშუალებები, როგორცაა, მაგალითად, ტერმინოლოგიის მართვის კომპიუტერული პროგრამა, სწრაფად განვითარდა პროფესიონალი მთარგმნელ-თარჯიმნების საჭიროებების გათვალისწინებით.

საქართველოში შესასწავლია საკითხი, თუ როგორ შეიძლება მთარგმნელთა სწავლების პროცესში მთარგმნელობითი ბაზრის მოთხოვნების უკეთ გათვალისწინება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაქმნელია პროფესიონალ მთარგმნელ-თარჯიმანთა საწვრთნელი სისტემა, რომელიც გადაჭრის მთარგმნელობითი საქმიანობისას წამოჭრილ ძირითად პრობლემას - დარგობრივი ტერმინოლოგიის არცოდნას. თითოეული ამ საკითხის წარმატებით გადასაჭრელად, საჭიროა მთარგმნელობითი სწავლების ტრადიციული მოდელიდან პროფესიული თარგმანის სწავლების ახალ მოდელზე გადასვლა, რომელმაც უნდა მოიცვას ტერმინოლოგიის მენეჯმენტი, დარგობრივი ტექსტების პარალელური კორპუსი და სხვა მთარგმნელობითი ტექნოლოგიები.

ნაშრომი იწყება ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივი დაახლოების პროცესის მიმოხილვით, რომლის განუყოფელი ნაწილია ქართული კანონმდებლობის ინგლისურად და ევროპული კანონმდებლობის ქართულად თარგმნა. ეს კი, ბუნებრივია, გულისხმობს დარგობრივი ტერმინოლოგიის უნიფიცირებას. ასევე, ყურადღება გამახვილებულია მაღალი ხარისხის დარგობრივი თარგმანის მნიშვნელობაზე, პროფესიონალი მთარგმნელის როლზე, მიმოხილულია კანონმდებლობის თარგმნასთან დაკავშირებული პრობლემები, თარგმნილი დარგობრივი, კერძოდ, სამართლებრივი ტექსტების არსებული კლასიფიკაციები და მათი კომუნიკაციური მიზნები, ჩამოთვლილია თარგმნისას დაშვებული შეცდომების სახეები შესაბამისი მაგალითებისა და სწორი ვარიანტების თანხლებით.

დასკვნაში საუბარია დარგობრივ თარგმნასთან დაკავშირებულ აზრობრივ, ტერმინოლოგიურ და სტილისტურ პრობლემებზე, რომელთა უმეტესი ნაწილი შედეგია იმისა, რომ მთარგმნელებს არ გააჩნიათ ცოდნა დარგების შესახებ და არ ფლობენ დარგობრივ ტერმინოლოგიას. ხოლო გრამატიკული პრობლემები, როგორც წესი, მშობლიური ენის გრამატიკის სუსტი ცოდნის შედეგია. ეს არის პირდაპირი შედეგი იმისა, რომ ადამიანების უმეტესობა, რომლებიც მთარგმნელები არიან, უმაღლეს სასწავლებელში უცხო ენას ისე ეუფლებიან, რომ ყურადღებას არ აქცევენ მშობლიური ენობრივი უნარების განვითარებას. შესაბამისად, მშობლიურ ენასთან შედარებით ისინი უკეთ ერკვევიან უცხოურ გრამატიკულ სისტემაში.

მარიამ გოდუაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი
mariam.goduaдзе.1@iliauni.edu.ge

სმენა-მხედველობის დარღვევის მქონე პირთა სახელდების საკითხისათვის

საქართველოში სმენა-მხედველობის ერთდროული დარღვევის მქონე პირთა, როგორც ცალკე ბიო-ფსიქო-სოციალური კატეგორიის გამოკვეთა მეორე წელია მიმდინარეობს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ორი პოლონური ორგანიზაციის (HumanDoc და TPG) მხარდაჭერით. აღნიშნული ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ სხვადასხვა ჯგუფებთან გამართული ტერმინოლოგიის შესაქმნელად და გვთავაზობენ საერთაშორისო მიდგომას, რომლითაც ტერმინი “Deaf-Blind” ‘ყრუ-უსინათლო’-ს ქვეშ მოიაზრებენ შემდეგი ტიპის ადამიანებს:

- სმენისა და მხედველობის არმქონეს,
- სმენის არმქონეს და მხედველობის შეზღუდვების მქონეს,
- მხედველობის არმქონეს და სმენის შეზღუდვის მქონეს,
- მცირემხედველ და სმენადაქვეითებულ პირებს, რომლებსაც დახმარების გარეშე ფუნქციონირება უჭირთ.

ზოგადად, მიჩნეულია, რომ ყრუ-უსინათლო პირის ერთმნიშვნელოვანი და საყოველთაო განმარტება არ არსებობს. ყრუ-უსინათლო პირთა დახმარების საერთაშორისო ასოციაციის მიერ მიღებული განსაზღვრება ბავშვების და მოზრდილების განმარტებისას ერთმანეთისგან გამოკვეთს განათლებასთან დაკავშირებულ ასპექტებს და ხაზს უსვამს, რომ სმენისა და მხედველობის ერთდროული დაზიანების გამო, ბავშვები საჭიროებენ უნიკალურ სასწავლო პროგრამებს და არა პროგრამებს, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ სმენის ან მხედველობის დაზიანების ან სხვა შშმ ბავშვებისთვის.

ზრდასრული პირების შემთხვევაში ეს გახლავთ ე.წ. ფუნქციური განმარტება, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანის ზოგად მდგომარეობას. ყრუ-უსინათლო პირები არიან ადამიანები, რომლებსაც ერთდროულად სმენისა და მხედველობის სერიოზული დაზიანება აქვთ და, აქედან გამომდინარე, უჭირთ კომუნიკაცია, დამოუკიდებლად გადაადგილება და ინფორმაციის მიღება. ასეთი ფართო განმარტება ყრუ-უსინათლო პირებისთვის შესაძლებლობების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

ყრუ-უსინათლო თუ უსინათლოყრუ?

იმ ქართულ ჯგუფებში, რომელთა წევრები სმენა-მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანებთან მუშაობენ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ერთი კონკრეტული ტერმინის შექმნამ. აზრი უმთავრესად სამად იყოფა: პირველი თვალსაზრისის თანახმად, უნდა დაინერგოს „**უსინათლოყრუ**“; მეორენი ფიქრობენ, რომ აჯობებს, „**ყრუ-უსინათლო**“ დეფისით დაიწეროს; ასევე არსებობს აზრი, რომ „**სმენა-მხედველობის დარღვევის მქონეს**“ გამოყენება ყველაზე ნაკლებ-დისკრიმინაციული იქნება.

სწორედ ამგვარი წინააღმდეგობრიობის გამო ევროპელი ტერმინოლოგები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბჭობდნენ. 1991 წელს იტალიელმა პროფესორმა, სალვადორ ლაგატიმ (Salvatore Lagati) თითქმის მთელი ევროპის ყურადღების მიპყრობა შეძლო თავისი თვალსაზრისისადმი, რომლითაც ამტკიცებდა, რომ დეფისით გაუყოფელი ტერმინი „**ყრუუსინათლო**“ - დეფისიან ტერმინ „**ყრუ-უსინათლოსთან**“ შედარებით ბევრად მართებულია, რამდენადაც პირველი, – „ყრუუსინათლობა“¹ – არის მდგომარეობა, რომელიც იმთავითვე მოიაზრებს სხვა, ბევრად კომპლექსურ სირთულეებს, ვიდრე მათ, რომლებსაც იწვევს ცალკე სიყრუე ან ცალკე უსინათლობა. დეფისით გამოყოფილი ტერმინი კრებს მხოლოდ სიყრუი და მხოლოდ სიბრმავით გამოწვეულ სირთულეებს. ერთიანი, უდეფისო სიტყვა კი ხაზს უსვამს განსხვავებულ, უნიკალურ მდგომარეობას და იმ პირობას, რომ ორმაგი სენსორული დანაკარგების გავლენები უფრო გამრავლებითია, ვიდრე დამატებითი [Lagati 1993, 429].

აღნიშნული თვალსაზრისი მსგავსი დარღვევების მქონე პირთა ორგანიზაციებმა აღიარეს გერმანიაში, პოლონეთში, რუსეთსა და ჩრდილო ევროპის ქვეყნებში. ამერიკაში, შვედეთსა (ორებროში) თუ გერმანიაში (პოსტდამში) გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე (IAEDB) 1993 წლისთვის შეთანხმდნენ ტერმინ „ყრუუსინათლოს“ უდეფისოდ გამოყენებაზე. ტერმინი ამავე სახით მიიღო კანადის ყრუუსინათლოთა და რუბელას ასოციაციამ. შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთის, ესპანეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ ცვლილება სასურველია.

ნაშრომში ვისაუბრებთ ამ და სხვა საკითხებზე და წარმოვადგენთ საკუთარ თვალსაზრისს აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით.

¹ ნათელია, რომ, ზოგადად, მდგომარეობის აღმნიშვნელი ცნება ქართულში ისედაც უდეფისოდ იწერება.

დავით გურგენიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
gurgenidzedavidgtu@gmail.com

ლევან კლიმიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
klimlevan@gtu.ge

თამაზ ხმელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
t.khmelidze@gtu.ge

**სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი
(წარდგინება)**

მშენებლობის დიდი მასშტაბები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები დღის წესრიგში აყენებს სამშენებლო ინდუსტრიის, კერძოდ კი საშენი მასალების, კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, დაგეგმვის, მენეჯმენტის, გაანგარიშების მეთოდების, ხარისხის გაუმჯობესების, კონტროლის, ნაგებობების დაპროექტების, ცეცხლმედეგობის, სახანძრო უსაფრთხოების, შრომის დაცვისა და სხვათა სრულყოფას. ეს კი მჭიდროდ არის დაკავშირებული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან, ლაბორატორიული კვლევების დანერგვასთან, მეცნიერებასთან, კომპიუტერიზაციასა და, დასასრულ, სამშენებლო კადრების კვალიფიკაციის უცილობელ ზრდასთან. ყოველივე ამის მისაღწევად უპირველესი ამოცანაა, ქვეყანაში მშობლიურ ენაზე გვექონდეს მაღალი ხარისხის დარგის საცნობარო ლიტერატურა და, მათ შორის, ენციკლოპედიური სამშენებლო ლექსიკონი.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად განმარტებითი ლექსიკონების გამოცემის თვალსაზრისით მკვეთრად ჩამოვრჩებით იმ დონეს, რომელიც ევროპული სტანდარტებით მოეთხოვება განვითარებული მწიგნობრობის მქონე ქვეყანას და ეს ჩამორჩენა თანდათანობით გამოუსწორებელ ხასიათს იძენს. ჩვენ არ გვაქვს თანამედროვე, პროფესიული, მუდმივად განახლებადი ლექსიკონები (ბეჭდური და ელექტრონული) დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებთან შედარებით, ტექნიკურ დარგებში კი განმარტებითი ლექსიკონების გამოცემის საკითხიც მოსაგვარებელია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევითა და თანადგომით სამშენებლო ფაკულტეტზე მომზადდა „სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი“ 5 ტომად (პროფ. **დავით გურგენიძისა** და პროფ. **თამაზ ხმელიძის** რედაქციით. ავტორები და შემდგენლები: **თამაზ ხმელიძე, დავით გურგენიძე, ლევან კლიმიაშვილი, კახაბერ ხმელიძე**. რეცენზენტები: პროფ. **არჩილ მოწონელიძე**, პროფ. **ვაჟა პაპასკირი**. მეცნიერ-კონსულტანტები: **ნანა მაჭავარიანი** – პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი; **ბაკურ გულუა** – ინჟინერ-მშენებელი, საქართველოს საპატრიარქოს განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი; **ავთანდილ სილაგაძე**, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი.

ნაშრომი მოწონებული და დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ. 05.07.2019, ოქმი #2. უაკ 030.8:624, ISBN 978-9941-28-496-0 (ყველა ტომი).

ლექსიკონში თავმოყრილი და გადამუშავებულია 16189 ტერმინი, რომლებიც ეხება სამშენებლო საქმესა და მასთან მონათესავე მიმართულებებს, როგორებიცაა: არქიტექტურა, ხუროთმოძღვრება, საკულტო და საერო ნაგებობები, წყლის ინჟინერია, მენეჯმენტი, ეკონომიკა, უსაფრთხოება, სეისმომდეგობა, მექანიკა, საგანგებო სიტუაციები, გეოინჟინერია, მეტალურგია, ბიზნესი, კომპიუტერული მეცნიერება და სხვ. ტერმინების დიდ ნაწილს თან ახლავს ეტიმოლოგიური კვლევები, რომელთა ბაზისად აღებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის მასალები. ტერმინის განმარტების სრულყოფილად აღქმისათვის ლექსიკონში ჩართულია ფერადი სურათები და ნახაზები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 5112 ერთეულს.

ლექსიკონის მომზადებაში ძირითადი ავტორების გარდა მონაწილეობდა სამშენებლო ფაკულტეტის 47 პროფესორი და სტუდენტი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების 6 წარმომადგენელი.

სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ პოლონეთის რესპუბლიკის ბელოსტოკის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები მარტა კოსიორ-კაზბერუკი (რექტორი), ლებ დზიენისი, ანატოლი გურინოვიჩი და ამერიკის შეერთებული შტატების სან დიეგოს შტატის უნივერსიტეტის პროფესორი იანუშ სუპერნაკი.

ავტორები დიდ მადლობას უხდებიან არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების მეცნიერ თანამშრომლებს – ნინო დათეშიძეს, ნათელა მუხაშვილს, მარინე ოსაძეს, ლია ქაროსანიძეს – ტექსტის რედაქტირების, საქმიანი შენიშვნებისა და სასარგებლო რჩევებისათვის, რომელთა ნაწილი გავითვალისწინეთ კიდევ ჩვენს ნაშრომში.

სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი არის პირველი სრულყოფილი დასურათებული ლექსიკონი ქართულ ენაზე, რომელიც მოემსახურება სამშენებლო საქმით დაინტერესებულ ქართველ მომხმარებელს: ინჟინრებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებს, ბაკალავრებს, არქიტექტორებს, დამპროექტებლებს, სამუშაოთა მწარმოებლებს, სამშენებლო სფეროში მოღვაწე მეცნიერებსა და ექსპერტებს, ბიზნესმენებს, ინვესტორებს, საჯარო რეესტრს, სანოტარო ბიუროებს, ადვოკატებს, სასამართლოებს, პროკურატურას, სამინისტროებს, ქალაქებისა და რაიონების მუნიციპალურ სამსახურებს, ჟურნალისტებს, მშენებელ მუშებს და ა.შ. შესაბამისად, ქართულ ენაზე შედგენილი სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის მომზადება და გამოცემა უდავოდ დიდი ეროვნული საქმეა.

თამარ გუჩუა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
me.tamuna@gmail.com

„სოვეტიზმი“, როგორც საბჭოთა ტერმინოლოგიური ფაქტი

სოვეტიზმების ისტორია მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან იწყება, როცა დასავლეთის პრესაში 1917 წლის რევოლუციის ამსახველი მასალები გამოჩნდა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით, 1919 წელს, ამერიკელი ჟურნალისტების მიერ მომზადებული რამდენიმე წიგნიც გამოიცა. მათ შორისაა ლუიზა ბრაიანტის „ექვსი წითელი თვე რუსეთში“ (Louise Bryant, Six red Months in Russia), ბესი ბიტის „რუსეთის წითელი გული“ (Bessie Beatty, The Red Heart of Russia), ალბერტ რის უილიამსის „ლენინი. ადამიანი და მისი საქმე“ (Albert Rhys Williams, Lenin. The man and His Work), ჯონ რიდის „ათი დღე, რომელმაც გააოცა მსოფლიო“ (John Reed, Ten Days That Shook the World) და ა.შ.

ზემოაღნიშნულ ტექსტებში მდიდარი ფაქტობრივი მასალა დასტურდება, რამაც ნიადაგი მოუზადა მათ შემდგომ ლინგვისტურ კვლევებს. ერთ-ერთი პიონერი ამ საკითხში გახლდათ ფრანგი ფილოლოგი ანდრე მაზონი, რომელმაც 1920 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში „ომისა და რევოლუციის ლექსიკა რუსეთში (1914-1918)“ (Andre Mazon, Lexique de la guerre et de la revolution en Russie (1914-1918)) პოლიტიკურ ნიადაგზე ლექსიკის შევსების სამ ისეთ საშუალებაზე ისაუბრა, როგორებიცაა: აბრევიაცია, სესხება და საკუთარ სახელთა განზოგადება. სწორედ ანდრე მაზონის წიგნი იქცა პირველ ლინგვისტურ მონოგრაფიად, სადაც რევოლუციის პერიოდში ენაში მიმდინარე ცვლილებებია განხილული.

თანამედროვე ლიტერატურაში ტერმინი „სოვეტიზმი“ გულისხმობს ისეთ სიტყვებს, ფრაზებსა თუ ლოზუნგებს, რომლებიც საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა. ტერმინის ეტიმოლოგიის ჩვენების ერთ-ერთი პირველი ცდა მოცემულია ბორის ბრაზოლის მიერ 1922 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ წიგნში „სოვეტიზმის ბალანსი“ (Boris Brasol, The Balance Sheet of Sovietism). ავტორი პირველივე თავის სქოლიოში ასე განმარტავს: „სიტყვა „სოვეტი“ (soviet) მომდინარეობს რუსული სიტყვისაგან, რომელიც ნიშნავს „საბჭოს“ (council). თანამედროვე მნიშვნელობით ის გამოიყენება რევოლუციური ორგანიზაციის საქმიანობის აღსაწერად, უფრო კონკრეტულად კი მიეწერება კომუნისტურ მმართველობას, რომელიც მსოფლიო ომის შემდეგ ჩნდება სხვადასხვა ქვეყანაში“.

სპეციალურ ლიტერატურაში „სოვეტიზმებს“ რამდენიმე დასახელებით ვხვდებით. მაგალითად, „ბოლშევიზმი“ (William English Walling, Sovietism: The ABC of Russian Bolshevism — According to the Bolshevists, 1920), „ორაზროვანი ლაპარაკი“ (Harry Hodgkinson, Doubletalk: The Language of Communism, 1955), „კომუნისტური ჟარგონი“ (R. N. Carew Hant, A Guide to Communist Jargon, 1957) და ა.შ.

სოვეტიზმები, როგორც საბჭოთა ლინგვისტური ფაქტი, ქართულშიც უხვად დასტურდება და მოხსენებაში შევეცდებით, რამდენიმე მათგანი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე განვიხილოთ.

ნინო დათეშიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
ninodate@gmail.com

თეონა ლაფაური

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
lapauriteo@yahoo.com

ნათელა მუზაშვილი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
natelamuza@yahoo.com

მარინე ოსაძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
marineosadze@mail.ru

ტერმინოლოგიის ახალი საერთაშორისო სტანდარტები

სტანდარტიზაცია ნებისმიერ სფეროში უმნიშვნელოვანესია, მათ შორის, რა თქმა უნდა, მეცნიერებაშიც. განსაკუთრებით დღეს, როდესაც მსოფლიო გადასულია ციფრულ ტექნოლოგიებზე და ნებისმიერი დარგის განვითარება, გარკვეულწილად, დამოკიდებულია სწორედ ამ ტექნოლოგიების დანერგვაზე. ეს კი აუცილებლად მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებას.

XX საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია (ისო). ცხადია, მანამდე უკვე არსებობდა მსგავსი ორგანიზაციები და სწორედ მათს საფუძველზე დაარსდა ისოც, მაგრამ აქ სხვა მასშტაბები შეიძინა სტანდარტებმა და სტანდარტიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ ისოში თითოეულ სტანდარტზე შესაბამისი სფეროს კომიტეტი მუშაობს, მათგან ერთ-ერთია 1947 წელს დაარსებული ენისა და ტერმინოლოგიის კომიტეტი (ISO/TC 37). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ ორგანიზაციის საქმიანობა არ გულისხმობს სტანდარტების ერთჯერადად შემუშავებას, ესაა მუდმივი, დაუსრულებელი პროცესი და ყოველ ხუთ წელიწადში თავიდან განიხილავენ და საჭიროების შემთხვევაში აახლებენ ან ცვლიან სტანდარტებს.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიური განყოფილება ამჟამად მუშაობს ქართული ტერმინთბანკის შექმნაზე. ეს კი ტერმინოლოგიურ საქმიანობასთან ერთად ითვალისწინებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, შესაბამისად, აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება ორი მიმართულებით, ერთი უშუალოდ ტერმინოლოგიური საქმიანობის პრინციპებს შეეხება, მეორე კი - ტექნიკურ მხარეს, რათა ქართული ტერმინთბანკი შეესაბამებოდეს მსოფლიოს სხვა ქვეყნების მონაცემებს. ქართული ტერმინთბანკის ერთ-ერთი მხარდამჭერია ევროპის ტერმინოლოგიის ასოციაცია, რომლის პრეზიდენტმა, ჰენრიკ ნილსონმა, სხვადასხვა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, გამოუგზავნა კითხვარი, ერთ-ერთი კითხვა კი სწორედ ეროვნული ტერმინთბანკის სტანდარტიზაციის საკითხს შეეხებოდა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რამდენად მნიშვნელოვანია სტანდარტების გათვალისწინებით მუშაობა. ქართული ტერმინთბანკის ინტერნეტში გამოქვეყნებისას ის უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

თსუ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ჩართულობით 1999 წელს მომზადდა და გამოიცა ტერმინოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული სამი სტანდარტი:

1) ისო 704:87 — ტერმინოლოგიის პრინციპები და მეთოდები

2) ისო 1087:90 — ტერმინოლოგია ლექსიკონი

3) ისო 860:96 — ტერმინოლოგიური საქმიანობა - ცნებათა და ტერმინთა ჰარმონიზაცია აღნიშნული სტანდარტები მას შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა განახლებული სახით, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულად ჯერ კიდევ მხოლოდ 1999 წელს თარგმნილი სტანდარტები გვაქვს.

საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციის მხარდაჭერით ითარგმნება ტერმინოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტების განახლებული ვერსიები, იგეგმება ასევე ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული სხვა სტანდარტების თარგმნაც. საყურადღებოა ისიც, რომ საგანგებო სტანდარტებია შექმნილი ტერმინთაზებისთვის (ისო 23185:2009, ისო 30042:2019, ისო 12620:2019). აღნიშნული სტანდარტები ისოსგან გამოითხოვა საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ, რომელიც სარგებლობს წევრ-კორესპონდენტის სტატუსით.

სწორედ აღნიშნულ სტანდარტებზე გვექნება საუბარი და განვიხილავთ მათს მნიშვნელობას ტერმინოლოგიურ საქმიანობაში. სტანდარტიზაციის დამკვიდრება ქართულ რეალობაში შრომატევადი და ხანგრძლივი, მაგრამ აუცილებელი პროცესია. ეს სანდო დოკუმენტის მიღების წინაპირობაა.

ირინე დემეტრაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
irinad72@hotmail.com

წამლების დასახელებები: ეტიმოლოგია, სემანტიკა და სტრუქტურა

ცნობილია, რომ ფარმაცევტული საშუალებები, იგივე წამლები/მედიკამენტები, არის ნივთიერებები, რომელთა მიზანია დაავადებების პრევენცია ან მკურნალობა. წამლები სხვადასხვა მცენარეული, ცხოველური ან ქიმიური ნივთიერებისგან მზადდება. წინამდებარე მოხსენების მიზანი, ცხადია, არ არის რაიმე სამედიცინო ან ფარმაცევტული ინფორმაციის გადმოცემა. წამლების დასახელებები გაანალიზებულია მხოლოდ ლინგვისტური კუთხით. კვლევა მოიცავს მედიკამენტების სახელწოდებების ეტიმოლოგიას, სემანტიკასა და სტრუქტურას. ემპირიული მასალა აღებულია ინტერნეტწყაროებიდან, სამედიცინო და ფარმაცევტული ცნობარებიდან და მკურნალობის პირადი გამოცდილებიდან.

მოხსენების დასაწყისში განხილულია ზოგადი ტერმინების - ინგლისური სიტყვის *drug* და ქართული სიტყვა “წამლის“ ეტიმოლოგია. შემდგომ მოცემულია სხვადასხვა სამკურნალო საშუალების დასახელებათა ლინგვისტური ანალიზი.

წამლების სახელწოდებების დაჯგუფება ემყარება შემდეგ სემანტიკურ კომპონენტებს: ორგანო, რომლის განკურნებასაც ისახავს მიზნად ესა თუ ის მედიკამენტი; დაავადება, რომელ-

საც ებრძვის მოცემული წამალი; ქიმიური შემადგენლობა; მცენარე, რომლისგანაც წამალია დამზადებული; ცხოველი, რომლისგანაც მიღებულია სამკურნალო ნივთიერება; ანტიკური მითოლოგია, ღმერთების და ქალღმერთების სახელები, რომლებიც გამოყენებულია ამა თუ იმ მედიკამენტის დასახელებაში; წამლის გამომგონებლის გვარი, რომლის პატივსაცემადაც წამალს სახელი დაერქვა; მედიკამენტის წარმოების ადგილის დასახელება.

წამლების სახელწოდებები ასევე დაჯგუფებულია სიტყვის აგებულებაზე დაყრდნობით. რამდენადაც წამლების დასახელებები ძალზე იშვიათად არის წარმოდგენილი მარტივი სიტყვებით, მოხსენებაში განხილულია ნაწარმოები და შედგენილი სიტყვები. ყურადღება ასევე გამახვილებულია აბრევიატურებზე.

კვლევამ აჩვენა, რომ წამლების დასახელებებში შემავალი პრეფიქსებისა და სუფიქსების უმეტესობა ადრე იყო ძირითადად ბერძნული ან ლათინური დამოუკიდებელი სიტყვები. მოგვიანებით, გრამატიკალიზაციის შედეგად, ისინი აფიქსურ მორფემებად იქცა.

წამლების დასახელებები ძალზე ხშირად წარმოდგენილია შედგენილი სიტყვების სახით. ასეთი სიტყვები ძირითადად ორი ძირისგანაა შემდგარი, თუმცა გვხვდება სამი ან მეტი ძირისგან შემდგარი სიტყვებიც.

მედიკამენტების დასახელებები ხშირად წარმოადგენს აბრევიატურებს. ამ კუთხით, მოხსენებაში განხილულია შემოკლებული სიტყვები, აკრონიმები და ინიციალიზმები.

კრისტინა ს. დესპოტი

ხორვატიის ენისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ხორვატია

kdespot@ihjj.hr

შემეცნებითი ლინგვისტიკის ტერმინოლოგია ხორვატიული ლინგვისტიკის ტერმინოლოგიის პროექტის ფარგლებში

საზოგადოდ, ტერმინოლოგიის სფერო ხორვატიულ ფილოლოგიაში საკმაოდ კარგად არის განვითარებული; ეს ეხება ტერმინოლოგიის ბიბლიოგრაფიას, რომელიც საკმაოდ მდიდარია და სხვადასხვა თეორიულ მიდგომას მოიცავს (ბოლოდროინდელი პერიოდის ჩათვლით), და ასევე იმ ფაქტსაც, რომ არსებობს საკმაოდ ძლიერი მონაცემთა ბაზა ხორვატიული ენის დარგობრივი ტერმინოლოგიისა (STRUNA), რომლის მიზანია ხორვატიულ ენაზე არსებული ტერმინოლოგიის თანდათანობითი სტანდარტიზება ყველა პროფესიულ დარგში. ამ ბაზამ, როგორც პროგრამამ, საფუძველი შექმნა ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკის განვითარებისთვის, ტერმინოლოგიის კვლევისთვის და უფრო ინტენსიური გახადა გრძელვადიანი თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ და სხვა განიზავიებთან, რომლებსაც სჭირდებათ და რომლებიც მუშაობენ ტერმინოლოგიის სხვადასხვა სფეროში. 2019 წელს ამ პროგრამაში საბოლოოდ ჩაერთო ლინგვისტიკის ტერმინოლოგიის პროგრამაც, როგორც პროექტი, სახელად *ხორვატიული ლინგვისტიკის ტერმინოლოგია*, რომელიც ფინანსდება ხორვატიის მეცნიერების ფონდის მიერ.

აღნიშნული პროექტის მთავარი მიზანია საენათმეცნიერო სფეროს ხორვატიულ ენაზე არსებული სტანდარტიზებული და ჰარმონიზებული 1500 ტერმინის თავმოყრა და ტერმინოგრაფიის თვალსაზრისით მართვა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ შესატყვისებთან ერთად. პროექტის არსებობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სპეციალური კორპუსი ხორვატიული ენის ენათმეცნიერული კვლევისათვის, რომლის მონაცემთა ბაზაში შევა ხშირად ხმარებული საენათმეცნიერო ტერმინები სასკოლო სახელმძღვანელოებიდან, ლექსიკონებიდან, გრამატიკის და ორთოგრაფიის სახელმძღვანელოებიდან; შესულია აგრეთვე ტერმინები სხვადასხვა საენათმეცნიერო თეორიიდან თუ დარგიდან. ეს დარგებია, მაგალითად, დიალექტოლოგია, ონომასტიკა, ფრაზეოლოგია, სოციოლინგვისტიკა, პრაგმატიკა, პალეოსლავისტიკა; შესულია აგრეთვე ტერმინები ისტორიული, გენერატული, შემეცნებითი და კომპიუტერული ლინგვისტიკიდან.

ამ განხილვაში წარმოდგენილი იქნება პროექტი *ხორვატიული ენათმეცნიერული ტერმინოლოგია*. თავიდან წარმოგიდგენთ მთლიანი პროექტის მოკლე საერთო მიმოხილვას და ეს შეეხება ზემოთ აღნიშნული STRUNA-ს მონაცემთა ბაზას.

ამის შემდეგ ჩვენ გაგაცნობთ თეორიულ საყრდენ ბაზას, მეთოდებს და მიღებულ შედეგებს. შემეცნებითი საენათმეცნიერო ტერმინების მაგალითის გამოყენებით გაგაცნობთ უფრო სრულ და დეტალურ სურათს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისა და სიმნელისა, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში შეგვხვდა.

რიკარდო ეიტო-ბრუნი

მადრიდის კარლოს III-ის უნივერსიტეტი, ესპანეთი

reito@bib.uc3m.es

ლინგვისტურ ფონდებზე წვდომა ტექნოლოგიურ კონტექსტებში: ერთიანი მიდგომით

ორგანიზაციული ენათმეცნიერული ფონდების მართვა მოიცავს სპეციალიზებული ტექნიკური ტერმინოლოგიის კონტროლსა და მართვას. ეს მართვა მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ ქმედებებს, მათ შორის:

- ტერმინების დადგენა და ამორჩევა არსებული დოკუმენტების ანალიზის ან დარგის სპეციალისტებთან განხილვის საშუალებით.
- შერჩეულ ტერმინთა შესახებ არსებული ლინგვისტური ინფორმაციის დოკუმენტირება (ჩაწერა).
- მსგავსი და მონათესავე ტერმინების დადგენა.
- ტერმინების განმარტებებისა და გამოყენების სფეროს აღნიშვნა.
- კონტექსტების აღნიშვნა, რომლებშიც ტერმინებია გამოყენებული.
- ტერმინების უცხოენოვანი შესატყვისების აღნიშვნა.
- მიღებული მონაცემთა ბაზების ან ტერმინოლოგიური სიტყვარების დაკავშირება და მართვა მათი ამოცნობისა და სათანადოდ გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ზემოთ აღნიშნულ ქმედებათა შედეგი, ჩვეულებრივ, აისახება მონაცემთა ბაზებში როგორც კომპლექტი *ტერმინოგრაფული ჩანაწერებისა*, რომლებშიც შედის შემდეგი მონაცემები: განსაზღვრება-განმარტებები და საგნობრივი შენიშვნები ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებთან ერთად; ამონარიდები ტექსტებიდან ან საილუსტრაციო მასალა, ტერმინთა სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მაგალითების ჩვენებით; სინონიმები და მონათესავე ტერმინები, რომლებიც ქმნიან კონცეპტუალურ სტრუქტურას, რომლის გამოყენება შესაძლებელია არსებული ცოდნის მოძიებისა და გამოკვლევის მიზნით; და სხვადასხვა ენის მონაცემები და შესატყვისები, რომლებიც იმავე ცნებებს უკავშირდება.

ასეთი მონაცემთა ბაზები გამოიყენება დოკუმენტების ტექნიკური დამუშავებისას; ისინი წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს ტერმინების დადგენისას, რომლებიც ფასეულია როგორც აღმწერი საშუალებები, რომლებიც ეხმარება საინფორმაციო სისტემების მომხმარებლებს ინფორმაციის აღდგენა-მოძიებაში; ტერმინების გამოყენება შესაძლებელია კონკრეტულ დარგში ონტოლოგიების (სიტყვის მოდელების) შექმნისთვის და ცოდნის გაღრმავებასთან დაკავშირებული პროცესების ხელშეწყობისთვის.

აღნიშნული მოთხოვნები გულისმობს, რომ ტერმინოლოგიურ მონაცემებთან და სიტყვარებთან წვდომა სხვადასხვა მომხმარებლისთვის დაშვებული იქნება განსხვავებული შემცველობითა და მონაცემთა მართვის ინსტრუმენტებით (ტექსტის ელექტრონული დამუშავება, მარკირების გაფართოებულ ენაზე (XML) რედაქტირება, შინაარსის რედაქტირება, ინსტრუმენტები მართვის საჭიროებებისთვის, გამოცდა (შემოწმება), ბილეთი (წვდომის საშუალება), დადასტურება (მხარდაჭერა) ამ სხვადასხვაგვარი საჭიროებების უზრუნველყოფა „საერთო მოხმარების ენათმეცნიერულ რესურსებზე საყოველთაო წვდომის“ ამოქმედებას ღირებულებას შესძენს.

პრობლემის ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც წარმოდგენილია ამ კონფერენციაზე, უპასუხებს მოთხოვნას წვდომაზე ტერმინოლოგიურ „არტეფაქტებთან“, რომლებიც სხვადასხვა საშუალების გამოყენებით წარმოიქმნა განაწილებული ქსელის პირობებში. სხვადასხვა ტექნიკურ პროცესში ჩართულ შემსრულებლებს შეეძლებათ ცენტრალიზებულ ტერმინოლოგიურ მონაცემებთან წვდომა მათი სასურველი სამუშაო ინსტრუმენტით. სხვადასხვა საშუალებით ტერმინოლოგიურ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა ასევე გაათანაბრებს ორგანიზაციის ხელთ არსებულ სიტყვარებს და ტერმინოლოგიურ რესურსებს და უზრუნველყოფს მათ შესაბამისად გამოყენებას სხვადასხვა დარგსა თუ პროცესში.

რადოსლავ კანარკოვსკი

კრაკოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი

rkanarkowski@gmail.com

ზომისა და რაოდენობის ტერმინები იბერიულ-კავკასიურ ენებში. სტრუქტურული და ეტიმოლოგიური შესწავლა

იბერიულ-კავკასიურ ენათა დარგობრივი ტერმინოლოგიის ფარგლებში ძალიან საყურადღებოა ზომისა და რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები, მაგ.: **ბევრი**, **ნახევარი**, **ნაწილი**, **წყვილი** და სხვა. იმ სიტყვათა აგებულებისა და წარმომავლობის შესწავლა საინტერესო ჩანს. ენობრივი მასალის ზოგადი განხილვის შემდეგ შეგვიძლია მივიღეთ რამდენიმე დასკვნამდე:

1) ძირეული იბერიულ-კავკასიური ტერმინები უმეტესობას წარმოადგენს, მაგრამ გვხვდება აგრეთვე ნასესხობანი აზერბაიჯანულიდან (ხანდახან სხვა ენებიდანაც), განსაკუთრებით ლეზგიურ ენებში, მაგ.:

„უფრო / მეტად“: აღ. **ართუყ**; რუტ. **ართუხ'**; ბუდ. **ართუხ'** ← აზერბ. **ართეგ**

„წყვილი“: ხინ. **ჩუთ**; არჩ. **ჩუთ**; ხუნდ. **ჟუთ** ← აზერბ. **ჯუთ**

„ნახევარი“: ბუდ. **მარემ**; უდ. **მარი**; ხინ. **მარე** ← აზერბ. **მარე**

„ნაწილი“: უდ. **ქოტორ** ← სომხ. **კტორ** „ნატეხი“

რა თქმა უნდა, ნასესხ სიტყვას შეუძლია დაექვემდებაროს ბგერით ცვლილებებს, როგორც გვიჩვენებენ ზემოთ მოყვანილი მაგალითები.

2) ზოგ შემთხვევაში საყურადღებოა სემანტიკური ცვლილებები, მაგ.:

ხინ. **ფარჩა** „ნაწილი“ ← აზერბ. **ფარჩა** „ნატეხი“

3) სემანტიკურად შესატყვისი სიტყვები ძალიან განსხვავებულია და ეყრდნობა სხვადასხვა ძირს, მაგ.:

ხუნდ. **ჩემერ**; ანდ. **ბ-იჰოგლუ**; ტინდ. **ყაჰაბ** „ბევრი“

ხუნდ. **დაჰ**; ანდ. **მიჰიგუ**; ხვარშ. **წოხ'უ** „ცოტა“

4) ამ ძირთა ნათესაობა ხშირად ადვილად ხელშესახებია ახლო მონათესავე ენებში (ქვეჯგუფის დონეზე), მაგ.:

ხუნდ. **დაჰ(გო)**; ტინდ. **დაჰა-**; ბეჟ. **დაჰჰ** „ცოტა“

კარ. **რეყემა**; ჭამ. **ბეყანა**; ლოდ. **ბეყინ** „ნახევარი“,

მაგრამ უფრო დაშორებულ ენებში მეტ ეჭვებს ბადებს, თუმცა არ შეიძლება იყოს გამორიცხული. იმის შუქზე საყურადღებო საკითხია შესაძლებელი ეტიმოლოგიური კავშირი, მაგალითად, ასეთ სიტყვებს შორის:

ჰუნზ. **თელი**; ბეჟ. **თელი** „ბევრი“ :: ქართ. **მთელი**

ჩერქ. **ნეჟ'** :: კარ. **რეყემა**; ახვ. **მეყედა**; ბოტლ. **ბეყენ** და ა.შ. „ნახევარი“

5) აქ ჩამოთვლილი სიტყვები ხშირად დამოწმებულია მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ (ქვეჯგუფში და შესატყვისი ძირები სხვა ენებში გამოვლენილი არ არის. გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება საერთო იბერიულ-კავკასიური ძირის რეკონსტრუქცია.

რეჯინა კვაშიტე

ლატვიური ენის ინსტიტუტი, ლატვიის უნივერსიტეტი, ლატვია
regina.kvasyte@su.lt

ზოგი ლიტუვური და ლატვიური ტერმინის შესახებ¹

პრეზენტაციაში ერთმანეთთან შედარებულია ტერმინოლოგიის მეტაენა ბალტიურ მონათესავე ენებში, კერძოდ, ლიტუვურსა და ლატვიურში. წარმოდგენილი კვლევის ძირითად წყაროებს წარმოადგენდა მნიშვნელოვანი გამოცემები ლექსიკოგრაფიასა და ტერმინოლოგიაში, აგრეთვე სხვადასხვა კვლევითი სტატია. კვლევის ნიმუშების ნაწილი მოიცავს შეგროვებულ ტერმინებს, რომელთა შესადგენად გამოყენებულია ძირითადი *termin-*. კვლევის შედეგები, ამ ტერმინების ჩათვლით, განხილულია მოხსენებებში, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც ლიტუვურში (Kvašytė 2013), ისე ლატვიაში (Kvašīte 2016). მეორე ნახევარი მოიცავს ტერმინებს ტერმინოლოგიის სხვა დარგებიდან, იმ განსაზღვრებებზე დაყრდნობით, რომლებიც ტერმინოლოგიას ეხება.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ლიტუვურ და ლატვიურ ენებში კლასიკური ენებიდან ნასესხები ან მათი ენობრივი ელემენტების დახმარებით შედგენილი ტერმინებია იდენტური. მაგალითად, ლიტუვურად *terminologija* და ლატვიურად *terminoloģija* — ტერმინოლოგია — ფორმით ერთნაირია (მხოლოდ ერთ ასოშია განსხვავება, ლატვიურ ტერმინში გვაქვს დამახასიათებელი პალატალური დიაკრიტული ასო-ბგერა *ģ*). მაგრამ ლიტუვურ ენაში ამ ტერმინის შინაარსი უფრო ვიწროა. ასე ეწოდება მეცნიერებას, რომელიც ტერმინებს შეეხება, მაშინ როდესაც ზოგადად, მთლიანად, „ტერმინები“ გამოიხატება ჰიბრიდული (ლიტუვური *-ija* სუფიქსით ნაწარმოები) ტერმინით *terminija* („ტერმინოლოგია“ ლიტუვურ ენაზე). ხოლო ლატვიურში ხსენებული ტერმინი ორივე ცნებას აღნიშნავს. სპეციფიკური განსხვავება შეინიშნება აგრეთვე ლიტუვურ *terminas*-ს და ლატვიურ *termins* (ლიტუვურადაც და ლატვიურადაც - „ტერმინი“) შორის. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, ლათინურის ეს ნასესხობა განსხვავდება მხოლოდ ბოლოსართით, რომელიც შეესაბამება ორივე ენას, ლიტუვურში ის არის მრავალმნიშვნელობიანი (მხოლოდ ერთი მნიშვნელობა უკავშირდება ტერმინოლოგიას). ლატვიურში პოლისემია არიდებულია მეორე ტერმინის მეშვეობით *terminš* (Latv. პერიოდი) და ის აღნიშნავს დროის მონაკვეთს. ლიტუვური ენის პრაქტიკაში შეინიშნება გარკვეული ბუნდოვანება ზოგიერთი ტერმინის ფორმის არჩევასთან დაკავშირებით, მათ შორის საკუთარი თუ საერთაშორისო სუფიქსების არჩევის მაგალითად, გვაქვს *terminologizacija*, *terminizacija*, *termininimas* (ლიტ. ტერმინოლოგიზაცია ხოლო ლატვიურ ენაში გვაქვს ამ ტერმინის განსხვავებული ფორმები: *terminoloģizēšana*, *terminoloģizācija*, *terminēšana* (ლატვ. ტერმინოლოგიზაცია).

კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი კვლევიდან ეხება ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინებს: ლექსიკას (ლიტუვურად *antonimas*; *skolinys* / ლატვიურად კი *antonīms*; *aizguvums* (ლიტ. და ლატვ. ანტონიმი, ნასესხები); სიტყვაწარმოება (ლიტუვური *priešdēlis*; *priesaga* და ლატვიური *priedēklis*; *piedēklis* (ლიტ. და ლატვ. პრეფიქსი, სუფიქსი) და ა.შ. აგრეთვე, უფრო

¹ ამ ნაშრომს მხარი დაუჭირა ეროვნული სამეცნიერო პროგრამის პროექტმა „ლატვიური ენა“ (№ VPP-IZM-2018/2-0002).

ზოგადი მნიშვნელობის ტერმინებიც გამოიყენება ტერმინოლოგიის მეტაენაში, ორივე ენაზე (ლიეტუვური *reikšmė; sąvoka* / ლატვიური *nozīme; jēdziens* (ლიეტ. და ლატვ. „მნიშვნელობა“, „ცნება“).

ტერმინოლოგიის მეტაენაში ხშირია სინონიმია, თუმცა როგორც ლიეტუვური, ისე ლატვიური ტერმინოლოგიის თეორიაში მითითებულია, რომ ტერმინოლოგიაში მაქსიმალურად უნდა ვერიდოთ სინონიმებს. სინონიმურია როგორც საკუთარი, ისე საერთაშორისო წარმოშობის ტერმინები. მაგალითად, ლიეტუვური *galūnė, fleksija; priešprieša, opozicija* / და ლატვიური *Latvian galotne, fleksija; pretstats, opozīcija* (ლიეტ. და ლატვ. „დაბოლოება, ბოლოსართი; კონტრპოზიცია, ოპოზიცია“). ზოგ ცნებას სამი დასახელებაც აქვს: ლიეტუვური *apibrėžtis, apibrėžimas, definicija* (ლიეტ. „განმარტება, განსაზღვრა“) / ლატვიური *atvasināts vārds, atvasinājums, derivāts* (ლატვ. „თარგმნილი სიტყვა, ნაწარმოები, წარმოება“). სინონიმები ზოგჯერ არა ორივე, არამედ მხოლოდ ერთ-ერთ ენაში გვაქვს. (შდრ. ლიეტუვური *vertinys, kalkė* / ლატვიური *kalks* (ლიეტ. და ლატვ. „ნასესხები სიტყვით თარგმნა“, „კალკი“); ლიეტუვური *svetimybė, barbarizmas* / ლატვიური *barbarisms* (ლიეტ. და ლატვ. „ბარბარიზმი“).

ტერმინოლოგიის სფეროში გამოყენებულ ტერმინებს დიდი ყურადღება ექცევა ლატვიურ საენათმეცნიერო ლექსიკონში (VPSV 2007). მასში შესულია 19 ტერმინი ამ სფეროდან, რომლებიც აგებულია მხოლოდ ძირით **term-**). რაც შეეხება ლიეტუვურ საენათმეცნიერო ლექსიკონს, მასში არის ამ ძირით ნაწარმოები სინონიმის მხოლოდ სამი ტერმინი (KTŽ 1990). თუმცა ეს არის მცირე მოცულობის განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც შედის დაახლოებით 200 ტერმინი ამ სემანტიკური ველიდან, ასევე მოცემულია უცხოური შესატყვისებიც, მათ შორის, ლატვიურიც. ლექსიკონი გამოიცა ლიეტუვაში (MTŽ 2005).

ზაალ კიკვიძე

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
zaal.kikvidze@tsu.ge

ინტერფიქსი, როგორც ტერმინი და ცნება: სოციოტერმინოლოგიური მიდგომა

წინამდებარე მოხსენებაში საკვლევი თემატიკის მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ ავირჩიეთ სოციოტერმინოლოგია, რომელიც უპირატესობას ანიჭებს დესკრიფციულ მეთოდს პრესკრიფციულის საპირწონედ; იგი შეისწავლის ტერმინებს (მათს წარმოშობას, ჩამოყალიბებას, ურთიერთობას სხვა ერთეულებთან) იმ კონტექსტების გათვალისწინებით, რომლებშიც ისინი გვხვდება.

ინტერფიქსის, როგორც არაერთი წინააღმდეგობის შემცველი ტერმინისა და ცნების, შესასწავლად სოციოტერმინოლოგიური მიდგომა ყველაზე ადეკვატურ არჩევანად მიგვაჩნია. ეს იმისათვისაა საჭირო, რათა დავინახოთ არა მარტო ის, რას წარმოადგენს ინტერფიქსი, არამედ ისიც, რა არ არის ინტერფიქსი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ინტერფიქსი (ლათ. *inter* ‘შორის’ + *fixus* ‘მიმაგრებული’; მის ქართულ შესატყვისად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „შუასართი“) იხმარება ძირით-

თადად ორი ტიპის ენობრივ ერთეულთა აღსანიშნავად: 1) ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის არმქონე ერთეული, რომელიც გვხვდება კომპოზიტში მის კომპონენტთა შესაყარზე; 2) მნიშვნელობის არმქონე ერთეული, რომელიც გვხვდება ფუძესა და სუფიქსს შორის.

სხვადასხვა საენათმეცნიერო ტრადიციაში არსებული მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა: 1. ინტერფიქსი, როგორც ტერმინი, ყველაზე ადრე გვხვდება 1865 წელს დაბეჭდილ ნაშრომში, რომლის ავტორია ს. ჰოლდემანი; 2. რუსულ საენათმეცნიერო ტრადიციაში გავრცელებულია ერთგვარი დეკლარატიული ნარატივი, რომ ეს ტერმინი ა. მ. სუხოტინმა შემოიტანა 1938 წელს; 3. რომანულ ენათმეცნიერებაში აღიარებულია ჯერ ჰ. ლაუსბერგისა და შემდეგ ი. მალკილის დამსახურება ამ ტერმინის აქტუალიზაციისა და დამკვიდრების საქმეში.

რადგანაც ცნებითი და ტერმინოლოგიური ასპექტები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში იმყოფებიან, მოხსენებაში ინფიქსისა და ტმქსის ცნებებსაც განვიხილავთ; პრობლემა ცნებათა აღრევაში მდგომარეობს.

მკაფიო საკლასიფიკაციო ნიშნების გამოყენების შედეგად აფიქსთა სხვადასხვა სახეობის ერთმანეთში აღრევა ნაკლებად სავარაუდოა. ამგვარ საკლასიფიკაციო ნიშნებს წარმოგვიდგენს ტ. გურგენიძე; იგი გამოყოფს აფიქსთა ოთხ შესაძლებელ ტიპს, რომელთა შორისაა IV. ძირის არამწყვეტი და ძირით უწყვეტი. სწორედ მას განეკუთვნება ინტერფიქსი: იგი „არის ისეთი აფიქსი, რომელიც აკავშირებს ფუძეებს რთულ ფორმაში“ (გურგენიძე 2015: 43). ეს კლასიფიკაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთმანეთში ავურიოთ ინფიქსი და ინტერფიქსი. იგი ეყრდნობა ი. მელჩუკის (1982: 86) განმარტებას, რომლის მიხედვითაც ინტერფიქსი წარმოადგენს მხოლოდ ძირთაშორის ოდენობას: „კონფიქსი (სახელდობრ, კონფიქსი, რომელიც არ ჰყოფს ძირს და არც თვითონაა დაყოფილი), რომელიც წინ უძღვის ერთ ძირს და მოსდევს მეორეს“.

ჩვენთვის მისაღებია ტ. გურგენიძის მიდგომა და ი. მელჩუკის განმარტება, რადგანაც ისინი მკაცრ საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს ემყარება.

დამოწმებანი

გურგენიძე 2015 – ტ. გურგენიძე, აფიქსაციათა სახეები. *არნოლდ ჩიქობავას საკითხავები* XXVI, 2015: 43-44.

მელჩუკი 1982 – Mel'čuk, I. *Towards a Language of Linguistics: A System of Formal Notions for Theoretical Morphology*. München: W. Fink, 1982.

ელენა კიოკეტი

Eurac Research - გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი, იტალია
elena.chiocchetti@eurac.edu

სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ტერმინოლოგიური პრობლემები სამხრეთ ტიროლის გერმანულში, როგორც უმცირესობის ენაში

სამხრეთი ტიროლი წარმოადგენს იტალიის პროვინციას, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტისთვის მშობლიური ენა არის გერმანული (ASTAT 2019). ის მიიჩნევა მეორე ოფიციალურ ენად ეროვნული ენის შემდეგ (საპრეზიდენტო დეკრეტი #670/1972, მუხლი 99). სამუშაო ადგილის უსაფრთხოება წარმოადგენს მაღალი საკანონმდებლო მნიშვნელობის მქონე ქვესფეროს, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა შრომით აქტივობასა და სექტორს. მას აქვს თავისი სპეციფიკური იურიდიული ტერმინოლოგია, მაგრამ იყენებს ბევრ ისეთ ტექნიკურ ტერმინს, რომელიც სხვა სფეროებს ეკუთვნის, როგორცაა საინჟინრო საქმე, მედიცინა, ქიმია და სხვა.

დასაქმებულთა განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ადგილის უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფციაში, რადგან პრევენციულ მოქმედებებში ყველამ თანაბრად უნდა მიიღოს მონაწილეობა და შეიტანოს წვლილი საქმიანობით გამოწვეული დაავადებებისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილებაში (Natullo 2015; Solombrino 2017). იტალიის კანონმდებლობის თანახმად, ეს განათლება მომსახურე პერსონალის ენობრივ ცოდნაზე უნდა იყოს მორგებული (საკანონმდებლო დეკრეტი # 81/2008). სამხრეთ ტიროლში ეს გულისხმობს, რომ ადგილობრივი სამუშაო ფენისთვის უნდა შეიქმნას გერმანული ტექსტები და სპეციალური ტერმინოლოგია გერმანულ ენაზე.

სამხრეთ ტიროლის გერმანულენოვანი ტერმინოლოგია შემუშავებულია ან მეორადი ტერმინის შექმნით, იტალიური ტერმინების გერმანულად თარგმნის გზით (Sager 1990), ან სხვა გერმანულენოვან ქვეყნებში გამოყენებული გერმანული ტერმინოლოგიის სესხების გზით. სამუშაო ადგილის უსაფრთხოების სფეროში, ჩვეულებრივ, მეორე მეთოდი გამოიყენება, კერძოდ, ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც საერთოა მთელი გერმანულენოვანი საზოგადოებისთვის. მაგრამ ამის მიუხედავად, იურიდიული ტერმინოლოგია სისტემაზეა მიბმული (de Groot 2002) და მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი გამოყენება, თუ უცხოური ცნებები იტალიურ ენაში გამოყენებულთა შესატყვისია. ეს შესატყვისობა შეიძლება შემოწმდეს იურიდიული შედარების მეთოდის საშუალებით, უფრო ზუსტად რომ ითქვას, მიკრო-შედარებით (Zweigert & Kötz 1996; Pegoraro & Rinella 2013; Chiocchetti & Ralli 2016).

ბოლო დროს შემუშავებულმა ტერმინოლოგიურმა პროექტმა აჩვენა, რომ სამხრეთ ტიროლის მხარეში სამუშაო ადგილის უსაფრთხოების სფეროს გერმანულენოვანი ტერმინოლოგია არ არის ბოლომდე დამუშავებული და სათანადოდ გავრცელებული. ხშირად, ერთი და იმავე ცნებისთვის გვხვდება ურთიერთგამომრიცხავი რამდენიმე ტერმინი. ზოგჯერ იტალიური სახელდებები გვხვდება გერმანულ ტექსტებში, განსაკუთრებით აკრონიმებისა და „ინიციალიზმების“ (საწყისი ასოებისგან შედგენილი აბრევიატურების) სახით. პრეზენტაციაში განხილული იქნება სხვადასხვა სახის ტერმინოლოგიური სირთულე, რომლებიც არსებობს ტიროლურ გერმანულში, კერძოდ, სამუშაო ადგილის უსაფრთხოების სფეროში, და აგრეთვე, იმ

ზომებსა და მიდგომებს, რომლებიც მათი გავრცელების წინააღმდეგ იქნა მიღებული. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე სამხრეთ ტიროლში, აღნიშნულ სფეროში, გერმანული ტერმინების შემუშავების და გავრცელებისთვის აუცილებლად მისაღები ზომები, რადგანაც ენა არის ძირითადი ასპექტი მუშა ძალის განათლების საქმეში და ის უდიდეს წვლილს შეიტანს მათი შრომის უსაფრთხოებაში.

ჰენრი კუპრაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

henrikupra@yahoo.com

ცურვის კოლხურ-იბერიული სტილი და მათი აღმნიშვნელი ტერმინები

მსოფლიოში ცნობილი სპორტული ცურვის გავრცელებული ტრადიციული სახეობებისგან (კროლი, ზურგზე ცურვა, ბრასი და ბატერფლაი), რომლებშიც წამყვანია კიდურების გამოყენება, სრულიად გამორჩეულია ცურვის კოლხურ-იბერიული სტილი ანუ ქართული სახეობები:

„ხელფეხშეკრული კოლხური“

სამხედრო-საწრთვინელი ყაიდა. ცურვის პროცესი იგივეა, რაც თავისუფალი კოლხურის დროს, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ ტანზე მიჭერილი ხელები იდაყვის ზემოთ და მაჯებთან, ფეხები კი მუხლებთან და კოჭებთან ფართო ღვედებით შეკრულია (შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავტომობილის მგზავრის უსაფრთხოების ქამრებისაგან დამზადებული ღვედები).

„აფხაზურა“

თავისუფალი კოლხურის პოზაში წყალში გვერდულად გაწოლილი, თავი შეტრიალებულია მარჯვენა მხრისკენ, ისე რომ სუნთქვის გასაადვილებლად სახე წყლის ზემოთ იყოს მოქცეული. მოძრაობები სრულდება თევზის კუდის მსგავსად (დელფინის კუდისაგან განსხვავებით) შეტყუპებული ფეხებით და მენჯ-წელით.

„ოკრიბულა“

თავის პოზაში, ოღონდ ხელებია წინ გამართული, ხელის მტევნები ერთმანეთზეა დადებული წყლის ზემოთ ოდნავ წამოწეული თითებით. ამ მდგომარეობაში სრულდება თავხვიას მოძრაობები.

„იბერიული“

ტანის მდგომარეობა - გაჭიმული ტანი თითქმის წყლის ზედაპირთანაა, გამართული ფეხები შეერთებულია ერთად, წინ გამართული ხელები, ხელის მტევნები ერთმანეთზეა დადებული.

ლი წყლის ზემოთ ოდნავ წამოწეული თითებით, თავი ჩაშვებულა წყალში ხელებშუა, სახით ქვევით. ასეთი მდგომარეობა შეესაბამება სრიალის მომენტს და პირობითად შეიძლება ჩაითვალოს საწყის მდგომარეობად. ამ მდგომარეობაში სრულდება თავისუფალი კოლხურის მოძრაობები (სუნთქვა, მენჯისა და შეტყუპებული, გამართული ფეხების მოძრაობები).

„თახვია“

თავისუფალი კოლხურის პოზაში წყალში ზურგზეა გაწოლილი. მოძრაობები სრულდება ძირითადად შეტყუპებული ფეხებით ქანქარისებურად ზევით-ქვევით, თითქოს ტერფებით მკვეთრად უნდა ამოარტყა ბურთს ქვემოდან.

„ხამურული“

თავი, ტანი და ხელები თავისუფალი კოლხურის პოზაშია. სუნთქვა ხორციელდება, როგორც თავისუფალი კოლხურის ცურვის დროს. მხოლოდ ფეხებით სრულდება ინტენსიური მოძრაობა ბრასის წესით.

„ქიზიყური“

თავი, ტანი და ხელები თავისუფალი კოლხურის პოზაშია. სუნთქვა ხორციელდება, როგორც კროლით ისე თავისუფალი კოლხურით ცურვის დროს. მხოლოდ ფეხებით სრულდება ინტენსიური მოძრაობა კროლის წესით.

ქართული ცურვის უნიკალური სახეობები ჩვენ მიერაა გაცოცხლებული (კუპრაშვილი, 2005). ინგლისურსა თუ სხვა ენებში უთარგმნელად გადადის და მკვიდრდება თანდათან ქართული ტერმინები. მოხსენებაში შევხებით ქართული ცურვის აღმნიშვნელი ტერმინების ისტორიას.

დამოწმება

კუპრაშვილი 2005 - ქართული ცურვა. სახელმძღვანელო. მეორე გამოცემა. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი.

თამარ ლომთაძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
tamrikolomtadze@yahoo.com

ლატვიის ენობრივი პოლიტიკა და ტერმინოლოგიის საკითხები

მოხსენების მიზანია აჩვენოს ის რთული გზა, რომელიც ლატვიურმა გაიარა შევიწროებული სახალხო ენიდან ევროკავშირის ოფიციალურ ენამდე. ლატვიური ენა ყოველთვის მიიჩნეოდა ლატვიელთა ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოდ, რამაც საშუალება

მისცა ლატვიელ ერს შეენარჩუნებინა თავისი კულტურა და უნიკალურობა. თუმცა ეს არ იყო საკმარისი, საჭირო იყო ენობრივი პოლიტიკის შემუშავება, რომელსაც უნდა უზრუნველყო სახელმწიფო ენის დომინანტური პოზიცია, როგორც ლატვიაში მცხოვრები ხალხის გამაერთიანებელი საშუალებისა. მე-19 საუკუნის ლატვია საკმაოდ ტოლერანტული იყო გერმანული და რუსული ენების მიმართ, თუმცა ლატვიური ენის დომინანტური პოზიციის აღდგენა მაინც მოხერხდა მეორე მსოფლიო ომამდე (ბლინკელუ, 2008: 7-12). საბჭოთა ოკუპაციამ ლატვიურის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასუსტება და მისი ფუნქციების შეზღუდვა მალევე შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის საბჭოთა კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა იყო ლატვიური, მაგრამ ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ფუნქციურად სახელმწიფო ენის სტატუსით რუსული სარგებლობდა. სწორედ ასეთ ვითარებაზე რეაქციას წარმოადგენდა 1988 წელს ლატვიის ხელოვანთა კავშირის მიერ ჩატარებულ სესიაზე ლატვიური ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენის შესახებ საკითხის დასმა. ამავე წელს ლატვიის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია ლატვიური ენის სტატუსის შესახებ და 1989 წლის მაისში მიიღეს ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ენის კანონი. 1991 წელს ლატვიამ მოიპოვა დე ფაქტო დამოუკიდებლობა. 1992 წელს მიიღეს ენის კანონის შესწორებები, ამას მოჰყვა 1999 წლის სახელმწიფო ენის კანონის მიღება.

აღნიშნულმა საკანონმდებლო აქტებმა საშუალება მისცა ლატვიურს გამხდარიყო როგორც ოფიციალურად, ასევე ფუნქციურად ქვეყნის სახელმწიფო ენა. დღეს იგი სრულფასოვნად ფუნქციონირებს ყველა სფეროში.

სალიტერატურო ენის სრულყოფა და განვითარება მუდამ პრიორიტეტულ საქმედ იყო აღიარებული ლატვიელთათვის. იმისათვის რომ ენა თანამედროვე კონკურენტულ სამყაროში კონკურენტუნარიანი იყოს, აუცილებელია მუდმივად შექმნას ადეკვატური გამოხატვის საშუალებები თითოეული ახალი ტერმინისა და ცნებისათვის. პურიზმის როლის გაცნობიერება-განჭვრეტა ლატვიური ტერმინოლოგიის ქმნადობის პროცესში დღეს წინა ხაზზეა წამოწეული, რადგან ლატვიელები სამართლიანად თვლიან, რომ პურიზმის უარყოფა რთული შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.

ზურაბ მამნიაშვილი

ჩინური ენის ცენტრი, თბილისი

zuramzl@yahoo.com

ტაი სსუემეი

პეკინის უნივერსიტეტი, ჩინეთი

2037923778@qq.com

ცირა ჯანჯღავა

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

cirunaja@gmail.com

**მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინების შემუშავება-დადგენის
საკითხი ჩინურში**

ჩინურ ენაში არსებული მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინების მხოლოდ მცირე ნაწილია უცხო ენებიდან პირდაპირ ჟღერადობის მიხედვით – ტრანსკრიფციით – გადმოღებული. ტერმინთა აბსოლუტური უმრავლესობა შექმნილია ჩინური ენის ბაზაზე. ეს ტერმინები აზრობრივად არის ნათარგმნი უცხო ენიდან ან შექმნილია ორი ან რამდენიმე სიტყვის აზრობრივი შეერთების გზით. ამას, ჩვენი აზრით, აქვს ორი მთავარი მიზეზი: 1) ჩინურ ენას აქვს ინდოევროპული ენებისაგან ძალიან განსხვავებული ფონეტიკური სტრუქტურა, რაც ქმნის ბუნებრივ ბარიერს ამ ენაში უცხოური სიტყვების პირდაპირ შესვლისა და დამკვიდრებისთვის; 2) ჩინეთში სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით 1909 წლიდან (ცინგის დინასტიის მთავრობიდან დაწყებული) მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინების ჩინური ენის ბაზაზე შემუშავება-დადგენის პროცესი, რომელიც დღემდე 111 წელს ითვლის, ამჟამად ამ მოვალეობას ასრულებს სრულიად ჩინეთის მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინების დამდგენი საბჭო (სჩმტდს) China National Committee for Terms in Sciences and Technologies (CNCTST).

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

Tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

ტერმინების შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში

ქართულ ჟესტურ ენაში საკმაოდ მწვავედ დგას ტერმინთა წარმოების საკითხი. პრობლემა უკავშირდება სოციალურ და ადმინისტრაციულ თემებს. ერთის მხრივ, ახალ რეალობას მოაქვს ახალი აუცილებლობები, როდესაც ენა ვალდებულია და იძულებულიც ხდება, თვალი გაუსწოროს ახალ რეალობას. მეორე მხრივ, საქართველოში ყრუთა თემის განათლების საკითხი ჯერ კიდევ პრობლემურია და ეს ჩამორჩენა აისახება ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული პრობლემები წარმოიქმნება ენობრივ ქსოვილზე ძალადობით. ფსევდოაკადემიური აქტივობები სერიოზულ ზიანს აყენებს ქართული ჟესტური ენის ლექსიკურ ფონდს.

ჟესტურ ენაში ტერმინთა წარმოება შესაძლებელია სამი გზით:

1. დაქტილური წარმოებით, რაც მოიაზრებს ტერმინის დაქტილებით გადმოცემას და ეს საკმაოდ გავრცელებულია მრავალ ჟესტურ ენაში.

2. ჟესტმოქმედებითი ტერმინშემოქმედებითი პროცესი გულისხმობს ჟესტური ტერმინების შექმნას. ამ დროს გასათვალისწინებელია ჟესტის პარამეტრების დახვეწილობა და შესაბამისობა. აუცილებელია ნავიგაციის ანუ კინეტიკური დინამიკის მოთხოვნების დაკმაყოფილება და ხელის კონფიგურაციის მისაღები ფორმის შერჩევა. ამ დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია არსებული პასპორტიზებული სიტყვა-ჟესტებისა და ენის ლექსიკური ფონდის მონაცემები.

3. ჟესტური ტერმინების შექმნის მესამე ფორმა კომპოზიციური წარმოება, რაც მოიაზრებს ლექსიკურად ახლომდგომი ერთეულების გამოყენებას და ამ ტიპის ერთეულების შეერთებით კომბინაციური ფორმების მიღებას.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ჟესტშემოქმედებითი პროცესების ნიმუშები და განხილული იქნება ტერმინთა წარმოების ძირითადი პრინციპები ჟესტურ ენებში.

მარიამ მიქაძე

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობითი ცენტრი, თბილისი
marmikadze@matsne.gov.ge

ტექსტის ტერმინოლოგიური დამუშავება და ტერმინებზე მუშაობა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ მთარგმნელობით ცენტრში

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მთარგმნელობითი ცენტრი ეწევა აქტიურ მუშაობას ტექსტების ტერმინოლოგიური დამუშავების მიმართულებით. მოცემულ ეტაპზე ცენტრში არსებობს ორი ძირითადი და რამდენიმე დამხმარე სერვერული ბაზა. აღნიშნულ ბაზებში არსებული მონაცემების საერთო რაოდენობა შეადგენს 40 000 ტერმინს და მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობაში არსებულ სპეციფიკურ დარგობრივ ტერმინებს. ბაზაში იტვირთება ტერმინის საბოლოო დამუშავებული და შეთანხმებული ვერსია. ყოველი ტერმინი გადის დამუშავების სამსაფეხურიან პროცესს, ის მუშავდება მთარგმნელის, ტერმინოლოგის და რედაქტორის მიერ. აღნიშნული პროცესი იყენებს ლინგვისტური ანალიზისა და ინფორმაციული ძებნის მეთოდების ერთობლიობას, როგორც ქართული/ინგლისური ტერმინის დაზუსტებისათვის, ისე მისი ზუსტი თარგმანის დასადგენად სამიზნე ენაზე. ბაზაში ატვირთვისათვის გადამოწმებულ და დაზუსტებულ ტერმინს მიესადაგება შესაბამისი წყარო და გამოყენების დარგი, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ტერმინის გამოყენების მოძიება კონტექსტში.

საკანონმდებლო მაცნეს მთარგმნელობითი ცენტრის ტერმინოლოგიური ბაზები ხელმისაწვდომია მთარგმნელობით ცენტრში მომუშავე ყველა თანამშრომლისათვის 24/7-ზე პრინციპით, რაც უზრუნველყოფს ცენტრის მიერ თარგმნილ ტექსტებში ტერმინოლოგიის ერთგვაროვნებას.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ხელმძღვანელობისა და მთარგმნელობითი ცენტრის გუნდის ინიციატივით და გადაწყვეტილებით აღნიშნული ტერმინოლოგიური ბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის. საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდს დაემატა ონლაინლექსიკონის ფუნქციონალი: <http://matsnedictio-nary.gov.ge>, რომელიც წარმოადგენს სანდო, უფასო და მარტივად ხელმისაწვდომ ტერმინთა ელექტრონულ ბაზას.

ონლაინლექსიკონში ტერმინის მოძიების პრინციპი საკმაოდ მარტივია: მომხმარებელი მიეხსნება ახორციელებს საკვანძო სიტყვის მიხედვით. ლექსიკონს აქვს ფუნქცია, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია მთარგმნელობითი ცენტრის გუნდს გამოუგზავნოს შეკითხვა ტერმინთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მთარგმნელობითი ცენტრის გუნდის ტერმინოლოგიური მიმართულების მუშაობა პრაქტიკული ხასიათის და მნიშვნელობისაა. აღნიშნული მუშაობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- სანდო და ტექნიკურად მოქნილი შიდა სერვერული ტერმინოლოგიური ბაზის განვითარება და გამდიდრება.
- სამუშაო დოკუმენტებში ტერმინოლოგიური ერთგვაროვნების სათანადო დონეზე უზრუნველყოფა.
- სანდო, ადვილად ხელმისაწვდომი, უფასო და ტექნიკურად მოქნილი ონლაინ ლექსიკონის განვითარება და გამდიდრება.

მანია ნაჭყებია

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი
evanachkebia@yahoo.com

სამხედრო აკრონიმები (საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებიდან)

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მომხდარმა საზოგადოებრივმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების დაფუძნებამ საქართველოში და სხვადასხვა დარგის უცხოელი ექსპერტების თანამშრომლობამ ადგილობრივ ორგანიზაციებთან ინგლისურიდან, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების სამუშაო ენიდან, თარგმანზე მოთხოვნილება გაზარდა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ქართული ენის მორგება შესაბამისი ინგლისური ტერმინოლოგიისთვის. ამ დარგების დიაპაზონი კი უაღრესად ვრცელია: ეკონომიკა, ტრანსპორტი, არჩევნები, თვითმმართველობა, სოფლის მეურნეობა, ფინანსები, სამხედრო საქმე და სხვ.

მასალა, რომელსაც წარმოვადგენთ, დაგროვდა „საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში“ (2002) თარჯიმნად/მთარგმნელად მუშაობისას. ვინაიდან იმ დროს ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი არ არსებობდა, ინგლისური სამხედრო აკრონიმების შესატყვის ქართულ ტერმინებს ამერიკელ და ქართველ სამხედროებთან კონსულტაციების შედე-

გად ვარჩევდით, მაგალითად: AO — Area of Operation — ოპერაციების სივრცე, MLT - Military Liaison Team — სამხედრო მოკავშირეთა ჯგუფი და სხვ.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ჩვენი მუშაობის შედეგებს და განვიხილავთ იმ ტერმინებს, რომელთა დადგენაც ამ პროექტის მიმდინარეობისას მოხერხდა.

ანა ოსტროშკი ანიჩი

ხორვატიული ენისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ხორვატია

aostrosk@ihjj.hr

ტერმინოლოგიის მართვა ხორვატიაში:

***Struna*-სა და *AirFrame*-ში არსებული საავიაციო ტერმინოლოგიის შეპირისპირება**

ტერმინოლოგიურ მუშაობაში ჩვეულებრივ პრაქტიკად ითვლება კონკრეტული დარგის სპეციფიკური კატეგორიების განსაზღვრა კომპლექსური კონცეპტუალური ქსელების საშუალებით, რომლებშიც ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებულია ონტოლოგიური ურთიერთობებით. ტრადიციული ტერმინოლოგიური საქმიანობისგან განსხვავებით, სადაც ეს ურთიერთობები განიხილება და განისაზღვრება სტატიკურად, კოგნიტური ტერმინოლოგიური მიდგომისას კონკრეტული, სპეციალიზებული დარგის კატეგორიები და მათი ურთიერთობები განიხილება დინამიკურად. ლექსიკურ მარაგში, რომელიც ეფუძნება **ჩარჩოქსელს**, ლექსიკური და სემანტიკური ცოდნა კომბინირებულია, იმ თვალსაზრისით, რომ ლექსიკური ერთეულები მოდელირებულია იმ სემანტიკურ ჩარჩოებზე დაყრდნობით, რომლებიც მათ თვითონ წარმოშვეს (Ruppenhofer et al. 2010).

ხორვატიულ ენაში აქამდე არ არსებობდა ჩარჩო-სემანტიკის და ჩარჩოქსელის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე დაფუძნებული ლექსიკური რესურსი. ამიტომ, ავიაციის დარგის სემანტიკური ჩარჩოების მონაცემთა ბაზა ვითარდება კვლევითი პროექტის ფარგლებში, რომელსაც ეწოდება *სპეციალიზებული ცოდნის კატეგორიების დინამიკურობა* (DIKA, ihjj.hr/dika). ტრადიციული ლექსიკონებისა და ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზებისგან განსხვავებით, ცოდნის კატეგორიების სემანტიკური ჩარჩოების ფორმით განსაზღვრა ნიშნავს უფრო მოქნილ, დინამიკურ მიდგომას ტერმინოლოგიური საქმიანობისა და მისი შედეგებისადმი (Faber 2015). უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ რესურსებში ჩარჩოების და ჩარჩო-ელემენტების მიმართებათა დადგენისას გამოიყენება მეთოდოლოგია, რომელიც მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ჩარჩოქსელის შემთხვევაში გამოყენებული მეთოდოლოგიისგან (L'Homme 2018).

საკაერო (ავიაციის) ტერმინოლოგიის ჩარჩო – AirFrame – წარმოადგენს ლექსიკურ მონაცემთა ბაზას, რომელშიც ავიაციასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია განმარტებულია ურთიერთდაკავშირებული სემანტიკური ჩარჩოების ფორმით, ხოლო ყოველი ჩარჩოს შემადგენელი ელემენტები განისაზღვრება კონცეპტუალური კატეგორიის ტიპის მიხედვით, რომელსაც ისინი უკავშირდება. წარმოდგენილ ნაშრომში აღწერილია AirFrame-ის მონაცემთა ბაზაში საავიაციო ტერმინოლოგიის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეროვნულ ტერმინოლოგიურ

ბაზაში – Struna - ტერმინთა განსაზღვრების პრინციპების საპირისპიროდ (Bratanić and Ostroški Anić 2013). მოხსენებაში განვიხილავთ მუშაობის ორივე პრინციპის სარგებელსა და ნაკლოვანებებს.

სიგიტა რაკევიჩიენე

მიკოლას რომერის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული მეცნიერებების ინსტიტუტი, ლიეტუვა
sigita.rackeviciene@mruni.eu

ლიუდმილა მოცკიენე

მიკოლას რომერის უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული მეცნიერებების ინსტიტუტი, ლიეტუვა
liudmila@mruni.eu

ანდრიუს უტკა

ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი, კომპიუტერული ენათმეცნიერების ცენტრი, ლიეტუვა
andrius.utka@vdu.lt

კიბერსფეროს ტერმინოლოგია: ზოგიერთი ხედვა კონცეპტუალურ და ლინგვისტიკურ განზომილებებში

კიბერნეტიკის სფერო არის ახალი, განვითარების გზაზე მდგარი ცოდნის სფერო, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა თანამედროვე საზოგადოებისთვის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიურ სისტემებზე ჩვენი ძლიერი დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ამის გარდა, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მწვავედ დადგა კიბერუსაფრთხოების დაცვის აუცილებლობის საკითხი, რადგან უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევათა რაოდენობა სულ უფრო იზრდება, დაწყებული თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით ადამიანის პირადი შეურაცხყოფიდან და დაშინებიდან გლობალურ საინფორმაციო მონაცემთა და ფინანსური ხასიათის ქურდობამდე საერთაშორისო კომპანიების გამოყენებით. ეს სფერო ამავე დროს ძალიან სწრაფად ვითარდება, დინამიკურია, რადგან კიბერუსაფრთხოება სახეობებიც უსწრაფესად იზრდება და ვითარდება. ისინი მუდმივად იცვლიან ფორმასა და გამოსაყენებელ საშუალებებს და, შესაბამისად, მათ წინააღმდეგ საჭიროა სწრაფი რეაგირება, ტექნოლოგიური უსაფრთხოების საშუალებების სწრაფი განვითარება, ახალი ფორმები, საკანონმდებლო რეგულაციები, რომელთა განვითარებაც, სამწუხაროდ, ხშირად ჩამორჩება.

სტატია ეხება მიმდინარე სამუშაოს კიბერუსაფრთხოების დოკუმენტების პარალელური და შედარებითი კორპუსების შედგენას ინგლისურ და ლიეტუვურ ენებზე; სტატია აგრეთვე გვთავაზობს გარკვეულ ხედვებს კიბერსფეროს კონცეპტური და ლინგვისტიკური პარამეტრების შესახებ.

სათანადო წყაროების საწყისი კვლევა გვიჩვენებს, რომ ამ სფეროს ახასიათებს არაერთგვაროვნება. ის მოიცავს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, რომელიც თავმოყრილია სხვადასხვა სახის ტექსტებში: კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებს, ჩანაწერებს უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევების შესახებ, კიბერუსაფრთხოების მექანიზმების კვლევებს, სახელმძღვანელოებს კიბერსისუფთავის (კიბერჰიგიენის) დაცვის მეთოდების გამო-

ყენების სფეროში, საგანმანათლებლო პორტალებს, რომელთა დანიშნულებაა ცოდნის ამაღლება კიბერუსაფრთხოების დარგში, და სხვა. ამ საშუალებათა უმეტესობა შესაფერისია შედარებითი კორპუსების, ანუ ორიგინალი დოკუმენტების კორპუსების შესადგენად ინგლისურ და ლიეტუვურ ენებზე და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი (ძირითადად ევროკავშირის დოკუმენტები) შეიძლება გამოიყენებოდეს ინგლისურ-ლიეტუვური პარალელური კორპუსის განსავითარებლად – ორიგინალური ტექსტის ინგლისური ვერსიითა და მათი ლიეტუვური თარგმანით. ამგვარად, ორივე სახის კორპუსები აუცილებელია კიბერუსაფრთხოების ტერმინოლოგიის სრულყოფილი შერჩევისთვის.

შერჩეული დოკუმენტიდან ნებისმიერი, შემთხვევითად არჩეული ტერმინების სემანტიკური ანალიზი გვიჩვენებს მთავარ კონცეპტუალურ მაკროკატეგორიებს კიბერუსაფრთხოების სფეროდან: ცნებებს, რომლებიც უკავშირდება გლობალურ საკომპიუტერო ქსელს და მის ციფრულ სივრცეს; ცნებებს, რომლებიც უკავშირდება საზიანო ქმედებებს ინფორმაციის გამოყენებით მანიპულირების მიზნით ციფრულ სივრცეში და ცნებებს, რომლებიც უკავშირდება ციფრული სივრცის უსაფრთხოების დაცვას. შედეგები ნათლად აჩვენებს ციფრულ სივრცეში მიმდინარე ბრძოლას, რომლის მიზანია მონაცემთა მართვა.

გამოკვლევული ცნებების ტერმინოლოგიური სახელდებების ანალიზი საშუალებას იძლევა, წარმოგიდგინოთ ჩვენი ხედვები ამ სფეროს ლინგვისტიკური პარამეტრებისა და მათი თავისებურებების შესახებ ინგლისურ და ლიეტუვურ ენებზე. ყველაზე თვალშისაცემი განსხვავებაა მეტაფორული ხასიათის სახელდებები ინგლისურში და მათი აბსოლუტურად ნეიტრალური შესატყვისები ლიეტუვურში, რაც მიუთითებს ამ ორ ენაში ტერმინთშემოქმედების განსხვავებული ტრადიციების არსებობას.

ეს არის საცდელი, პილოტური კვლევა, რომლის შედეგები, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება შემდგომი კორპუსული განვითარებისთვის და მიღებული ტერმინოლოგიის კვლევისთვის კიბერუსაფრთხოების დარგში, აგრეთვე სხვა კონკრეტული სფეროების ტერმინოლოგიისთვისაც.

ლიანა სუტიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი

l.sutidze@gtu.ge

ხარვეზები ტექნიკურ ტერმინოლოგიაში

ვაგრძელებ „ბრძოლას“ ე.წ. ბუდეებსა და, ჩემი აზრით, არასწორ ან შეუსაბამო ტექნიკურ ტერმინებთან. ამჯერად, ხელთ მაქვს ტექნიკური ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ნაწილი, გამოცემული 1989 წელს, ანუ რამდენიმე წლით გვიან ქართულ-რუსულ ნაწილთან შედარებით. თუმცა, ეს ნაწილები სარკისებურად ასახავენ მათში მოცემულ ტერმინებს, მცირე განსხვავებების გარდა.

ალბათ ე.წ. ბუდეების დანიშნულებაა სრულად ასახოს მოცემული ტერმინის პრაქტიკული გამოყენება ტექნიკურ მოცემულობაში სწორი გრამატიკული და შინაარსობრივი (ფუნქციონალური) ფორმით. ვნახოთ, როგორ მდგომარეობაშია ისინი:

მაგალითად, გვ. 30-ზე მოცემულია ტერმინი Бетон - ბეტონი. თუ მასში იგულისხმება ბეტონის ნარევი (რაც ასეც უნდა იყოს), მაშინ მის ბუდეში არ უნდა იყოს ტერმინები: დაარმატურებული ბ., მცირედდაარმატურებული ბ., დაუარმატურებელი ბ., ცენტრიდანული ბ., ნატკეპნი ბ., ეს ტერმინები თავისი შინაარსით განეკუთვნება ბეტონისგან წარმოებულ ნაკეთობებს, ანუ ბეტონის ქვის ნაკეთობებს. აქვე აღვნიშნავ, რომ დაარმატურება არ არის მიზანშეწონილი ტერმინი, რის შესახებაც ადრეც მივუთითებდი - უ.ი. არმირებული.

გვ. 132. Изделие - ნაკეთი, ნაკეთობა. ჩემი აზრით, ეს ორი ტერმინი განსხვავებულია ერთმანეთისგან შინაარსობრივ - ფუნქციონალურად და უნდა გაიმიჯნოს. ნაკეთი საგნის დამზადების, შესრულებული სამუშაოს სახეს აღნიშნავს. მაგალითად, ხელით ნაკეთი, ქარხნული ნაკეთი, აბრეშუმით ნაკეთი. ნაკეთობა კი კონკრეტული სახეობის საგანია, მაგალითად, ბეტონის, კერამიკული, რეზინის, პლასტმასის ნაკეთობები და სხვ.

ანალოგიურად განვიხილავ ტერმინს Сталь - ფოლადი (გვ. 415). ფოლადები განსხვავდებიან შედგენილობით და ამის მიხედვით გვაქვს დაბალნახშირბადიანი, მაღალნახშირბადიანი, ლეგირებული, საკონსტრუქციო და სხვ. ფოლადები. ამავე ბუდეში მოცემულია: უწრთობი და ნაწრთობი; დააზიტებული; მოთუთიებული; სორტული; გაგლინული; დაღარული; კუთხოვანი; დაშტამპული და სხვ., როგორც ფოლადის სახეობები, რაც არასწორია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინი ფოლადის ნაკეთობებს აღნიშნავს და ფოლადის ბუდეში არ უნდა იყოს.

გვ. 145, ტერმინი Кабель – კაბელი. მის ბუდეში მოთავსებული კაბელის სახეობების გვერდით რატომღაც მოხვდა К. – кран კაბელ-ამწე; К. – кран паралельный პარალელური კაბელ-ამწე; К. – кран радиальный რადიალური კაბელ-ამწე.

გვ. 65, выемка ამოღება; ამონაღები; ნათხარი. იქნებ უმჯობესია ამ სამი ტერმინიდან უპირატესობა მივანიჭოთ ამონაღებს, რადგან ამოღება, როგორც ზმნის საწყისი ფორმა, ვუწოდოთ პროცესს - ამოთხრა, ამოღება. გვ. 65, იგივე ტერმინია გამოყენებული выгреб ამოღება, რაც არასწორად მიმაჩნია. აქ უფრო ამოხვეტა ან ამოფხეკა იგულისხმება.

ვუბრუნდები ისევ ნართანთან ტერმინ-კომპოზიტების საკითხს: Завод ქარხანა (გვ. 115). უბრალოდ, საკვირველია, ამ დიდი მოცულობის ბუდეში ორ ერთნაირკომპონენტთან კომპოზიტში ერთი ნართანანია, მეორე კი არა. მაგალითად, ელექტრომაგალსარემონტო ქარხანა და ელექტრომაგალთსაშენი ქარხანა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქაოტურად ხდება ტერმინ-კომპოზიტების შედგენა და გამოყენება.

აქვე შევნიშნავ, რომ ტერმინთა ბუდეების მოცულობა საკმაოდ გაზრდილია - არ არის შეკვეცილი ტერმინის ქართული დასახელება განსხვავებით რუსულისაგან.

ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
nestansulava@rambler.ru

ჰიმნოლოგიური ტერმინები მე-13 საუკუნის ხელნაწერში A-85

ხელნაწერს A-85 ერთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც მრავალი ჰიმნოლოგიური საკითხია აღძრული; მას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს იმ ჰიმნოლოგიურ ტერმინთა გამოყენება, რომელთაგან ზოგიერთი ადრე არ დასტურდება. ამ ხელნაწერის ანდერძებსა და კრებულის შემდგენლის, აბუსერის ძე ტბელის, მინაწერებს მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება, რომელთაგან ამჯერად გვინტერესებს ჰიმნოლოგიური ტერმინები. მათი ღირებულება ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესასწავლად მათში შემონახული უნიკალური ცნობების გამო დიდია. ხელნაწერში რამდენიმე ჰიმნოლოგიური ტერმინი იქცევს ყურადღებას: „თვთძლისპირნი“, „საქცევი“, „პიროვანი საქცევი“, „მოურთავთ“, რომელიც ჰიმნოგრაფიული ტერმინის – „მოსართავის“ ზმნური ფორმაა და საგალობლის შესრულებას უკავშირდება, „მოკაზმვა“, „ჭრელბნი“. ტერმინთა ნაწილი ადრეც იყო გამოყენებული სხვა ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, მაგ., „თვთძლისპირნი“, და არაერთგზის ყოფილა განხილვის საგანი, მაგრამ მათი ნაწილი არ შესწავლილა. ამავე დროს, ზოგიერთი ტერმინის შესახებ არსებული შეხედულება გადახედვას მოითხოვს ახალი მასალის წარმოჩენის საფუძველზე. ჩვენ შევეცადეთ ხსენებულ ტერმინთაგან ზოგიერთის, კერძოდ, „საქცევი“, „პიროვანი საქცევი“, „მოურთავთ“, არსის გარკვევას A-85-ის მონაცემების მიხედვით, მათ შესახებ არსებული სათანადო სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, რადგან თითოეულის არსის ახსნა-განმარტებას მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ჰიმნოგრაფიული ლიტერატურული ტექსტის სახისმეტყველების გამოსავლენად, ისე გალობის მუსიკალური შესრულების ისტორიის სრულყოფილად წარმოსადგენად.

ლია ქაროსანიძე

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
L.karosanidze@gmail.com

ტერმინოლოგიის მართვის პრობლემები საქართველოში და ქართული ტერმინთბანკი

ნებისმიერი ევროპული ტერმინოლოგიური სტანდარტის მიხედვით, ტერმინოლოგიური მუშაობა ვერ იქნება შედეგიანი, თუ ის დაგეგმილი და მართული არ არის. ქვეყანა, რომელსაც არა აქვს შემუშავებული ტერმინოლოგიური პოლიტიკა, ვერ მოაგვარებს ტერმინოლოგიურ ქაოსს (სახელმძღვანელო 2005).

საუკუნის წინ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში დაიბეჭდა და-ძმა ნიკოლაძეების სტატია, რომელშიც განხილულია ტერმინოლოგიური მართვის გეგმა: ტერმინოლოგიური მუშაობის სწორად წარსამართავად მნიშვნელოვანია დარგის სპეციალისტებისა და ფილოლოგების თანამშრომლობა.

ტერმინოლოგიის ცენტრი



ტერმინოლოგიის დარგობრივი კომისიები (დარგის სპეციალისტები და ფილოლოგები)

ტერმინების შესაქმნელად აუცილებელია:

1. დარგთა შორის მჭიდრო თანამშრომლობა;
2. დარგის სპეციალისტებისა და ფილოლოგების თანამშრომლობა;
3. შემუშავებული მასალის ცენტრისთვის მიწოდება.

„ამორჩეული სიტყვის საბოლოო შემუშავება ჩვენი ენის ფილოლოგიის მტკიცე ნიადაგზე უნდა იქნეს დაყენებული, რადგან მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლო ყოველი ტერმინის თვითოეული მარცვლის შეუცდომლად არჩევა, სხვებთან შეკაზმვა და მთელი ენის სიანკარის დაცვა“ (ქაროსანიძე 2020).

არსებობენ ქვეყნები, სადაც ახლა იწყებენ ტერმინოლოგიურ მუშაობას, საქართველო, ამ ქვეყნების რიცხვს არ მიეკუთვნება. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ტერმინოლოგიური მუშაობა თავიდან დასაწყები არ არის, ის სწორ სახელმწიფო ხელშეწყობასა და მხარდაჭერას საჭიროებს მხოლოდ. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვაქვს უძველესი ქართული ტერმინოლოგიური სკოლა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ხან ივიწყებდნენ, ხანაც, პირიქით, ზამავდნენ და ავითარებდნენ (ქაროსანიძე 2019,2).

რატომ ვერ ახერხებს ქართველი საზოგადოება ტერმინოლოგიური პრობლემების მოგვარებას - ამ საკითხებს ბევრჯერ შევხებივართ და განგვიხილავს ხმამაღლა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ წინა საერთაშორისო კონფერენციიდან დღემდე რამე უკეთესობისკენ შეიცვალა (ქართული ტერმინოლოგია 2018; ქაროსანიძე 2019,1; 2019,2).

ქართულ ტერმინთბანკს, რომლის შექმნა 2014 წელს დავიწყეთ, განსხვავებული ფუნქციები აქვს და ეს ევროპისაგან განსხვავებულმა ტერმინოლოგიურმა გარემომ განაპირობა. საქართველოში სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად (ვიმედოვნებთ, რომ ჩამოყალიბდება), უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ქართული ტერმინთბანკის განვითარებას. უპირველესი ფუნქცია, რომელიც საქართველოში არსებული ვითარების გამო ქართულ ტერმინთბანკს დაეკისრა, ქართული ტერმინოლოგიური მასალის სრულად ასახვა, ვგულისხმობთ, ყველა სახის ქართულ ბეჭდურ ლექსიკონს (ქართული ტერმინთბანკი 2019). შეიძლებოდა ტერმინთბანკში მხოლოდ ნორმატიული ლექსიკონები შეგვეტანა, როგორც ამას ბევრ ქვეყანაში აკეთებენ, თუმცა ჩვენ უპირველესად უნდა მოვაგვაროთ ის პრობლემა, რომელიც ბოლო წლების უმართავმა ტერმინოლოგიურმა მუშაობამ მოგვიტანა: დავადგინოთ ნორმატიული ტერმინები. ეს კი ქართულში არსებული ყველა ტერმინოლოგიური ლექსიკონის შესწავლა-კვლევის საფუძველზე ხდება. კონფერენციაზე საზოგადოებას წარვუდგენთ იმ სიახლეებს, რომლებიც დაგვიგროვდა ბოლო წლის განმავლობაში და რის შექმნაც შევძელით ჩვენს განსხვავებულ სამყაროში (ვგულისხმობთ კოვიდსიტუაციას). ვისაუბრებთ მრავალდარგოვან ტერმინთა სამეზობლო ლექსიკონის შესახებაც, რომელიც ქართული ტერმინთბანკის მასალებზე დაყრდნობით მზადდება.

დამოწმებანი:

სახელმძღვანელო 2005 - ტერმინოლოგიური პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, ტერმინოლოგიის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ენობრივ საზოგადოებებში, იუნესკო, პარიზი (ქართულად თარგმნა ზაალ კიკვიძემ);

ქროსანიძე 2020 - ლ. ქროსანიძე, სიტყვარი - ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი - 100 წლისაა, ტერმინოლოგიის საკითხები, IV;

ქართული ტერმინოსაცავი 2018 - ლ. ქროსანიძე, ი. უჯმაჯურიძე, ე. ჯგერენაია, ქართული ტერმინოსაცავი (ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიური კორპუსისათვის), ტერმინოლოგიის საკითხები, III;

ქროსანიძე 2019, 1 - ლ. ქროსანიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, მე-12 საერთაშორისო კონფერენცია „ბერძნული ენა და ტერმინოლოგია“ - <http://www.eleto.gr/pdf>;

ქროსანიძე, 2019, 2 - ლ. ქროსანიძე, ძველ ქართველ მთარგმნელთა ტერმინოლოგიური მუშაობის ძირითადი პრინციპები, doi.org/10.35321/term26-11.

ქართული ტერმინობანკი 2019 - ლ. ქროსანიძე, ქართული ტერმინობანკი - ტერმინოლოგიის III საერთაშორისო კონფერენცია, ლიეტუვა.

ნონა ქეცბაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

nona.ketsbaia@mail.ru

სახელზმნური წარმოების სამშენებლო ლექსიკური ერთეულები მეგრულში

მდიდარი და მრავალფეროვანია მეგრულში მშენებლობასთან დაკავშირებული ლექსიკა, რომელშიც აგებულების მიხედვით გამოიყოფა მარტივი და დერივაციის გზით მიღებული სიტყვები, კოპოზიტიური წარმოებები, შესიტყვებები. ცალკე ჯგუფს ქმნიან სახელზმნური წარმოების სამშენებლო ლექსიკური ერთეულები. სამშენებლო ტერმინებად გამოიყენება როგორც მასდარები, ისე მიმღეობები.

წარმოების თვალსაზრისით გამოიყოფა მასდარის სხვადასხვა ტიპი:

-**უ-ა**: (**ჭკად-უ-ა** „ჭედვა“, **კაკუტუა** „კაკუტების დაწყობა“).

-**უ-ა** სუფიქსიანი მასდარის წარმოება პროდუქტიულია მეგრულში. ამ ტიპის -**უ-ა** წარმოების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. გამოთქმულ მოსაზრებათა თანახმად, მეგრულში -**უნ** (**←-ომ**) თემისნიშნისაა ზმნას -**უ-ა** დაბოლოებიანი მასდარი შესატყვისება (ნათამე 1959: 140-142).

ა- ოდენ სუფიქსური წარმოება ერთნაირად ფართოდ არის გავრცელებული როგორც ლაზურში, ისე მეგრულში და ხშირად საყრდენი ფუძის წარმოებისას სხვადასხვა სუფიქსს (თემის ნიშნებს) იყენებს ორივე ქვესისტემაში.

ა) -ა: ზალ-ა; **ბ) -ალ**: რთუ-ალ-ა „გადახურვა“, **გ) -უმ**: იმანწყ-უმ-ა „ამოძრობა“; **დ) -უნ**: ენობ-უნ-ა „ჩასხმა“; **ე) -აფ**: გერჩ-აფ-ა, დოგ-აფ-ა, „დაგება“.

ორ-ი დაბოლოებიანი სახელზმნები ლაზურთან შედარებით მეგრულში უფრო პროდუქტიულია: **ხინტკორი**, „ფხეკა“, **კინტორი** „ჩხიკინი“.

მიმღეობის წარმოებას ზანურში მრავალფეროვნება ახასიათებს. ორივე ენობრივ ერთეულში გავრცელებულია მიმღეობის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება.

მაწარმოებელ პრეფიქსთაგან მეგრულ-ლაზურში საერთოა **მა-**, **ნო-**, **ო-** პრეფიქსები. **მო-** პრეფიქსი საერთო მონაცემია მეგრულ-ქართულისათვის, ლაზურში კი არ დასტურდება. **ნო** სა-

ერთო ჩანს მეგრულ-ლაზურისათვის.

მეგრულ სამშენებლო ლექსიკაში სასუბიექტო (მოქმ. გვარის) მიმღეობის მაწარმოებლად მეტწილად გამოიყენება **მა-ალ** პრეფიქს-სუფიქსი. **მა-ალ**: (მა-რთუ-ალ-ი „სახურავის ოსტატი“).

მეგრულ სამშენებლო ლექსიკაში გვხვდება ისეთი მიმღეობაც, რომლის ფუძეც ზანურია და ერთვის ქართულიდან შემოსული აფიქსები: **მე-ჭკადირ-ე** „მჭედელი“.

საობიექტო მიმღეობის მაწარმოებლებად სამშენებლო ლექსიკაში პროდუქტიულია: **-ელ, -ილ, -ულ** სუფიქსების გამოყენება.

ვნებითი გვარის მყოფადი დროის მიმღეობათა წარმოებისას ბუნებრივი ჩანს პრეფიქსურ-სუფიქსური დერივაცია როგორც ლაზურში, ისე მეგრულში. აქ ძირითადი პრეფიქსია **სა-//- ა** ალომორფთა კანონზომიერი ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისი **ო-** ზანურში, რომელსაც თან ხლავს სხვადასხვა სუფიქსი.

მეგრულ სამშენებლო ლექსიკაში საკმაო რაოდენობით გვხვდება ნაირფუძიანი კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მიმღეობა: არსებითი სახელი + მიმღეობა (სუბსტანციურ-პარტიციპული მოდელი): **ხემაჭკადუ** || ხემოჭკადილი „ხელმარჯვე“.

მიმღეობა გვხვდება აგრეთვე სინტაქსური კავშირის გზით შედგენილ ანალიტიკურ სამშენებლო ტერმინებშიც (მიმღეობა + არსებითი): **გობუნაფილი ხორხი** „გაბმული ხერხი“, **თო-ლირი ფიცარი** „თლილი ფიცარი“.

მედეა ლლონტი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
dodo_mariami@yahoo.com

ცნება და ტერმინი წმიდა სახარებაში (ძვ. ქართ. ცნება)

მოხსენებაში საკითხის დასმის წესით იქნება წარმოდგენილი ანალიზის ცდა ძველი ქართული სიტყვისა **ცნება**, ვითარცა:

ა) საკუთრივ ლექსიკური ერთეულისა, ანუ სიტყვისა – **ცნება**;

ბ) საკუთრივ სიტყვა-ცნებისა **ცნება**, ანუ – ცალკეული არსების, საგნისა თუ მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვისა, რომლის მეშვეობითაც განზოგადებულად წარმოჩნდება და შეიცნობა ამ აღსანიშნთა ნიშანდობლივი თვისებანი, ანუ ამ სიტყვა-ცნების სემანტიკა (→ „**სიტყვა-ცნების** ლექსიკურ-სემანტიკური ველი“);

გ) საკუთრივ სიტყვა-ტერმინისა **ტერმინი**, ანუ – საგანგებო სემანტიკური ფუნქციით აღჭურვილი სიტყვისა ან შესიტყვებისა, რომლის მეშვეობითაც სათანადოდ გადმოიცემა რაიმე დარგისა თუ საქმიანობის აღმნიშვნელი **ცნება** (→ „**სიტყვა-ტერმინთა** ფუნქციურ-სემანტიკური კლასიფიკაცია“).

ლათ. **ტერმინი** (< terminus „საზღვარი; ბოლო; დასასრული; მიწურული“). ქართულ სიტყვიერებაში XIX საუკუნეში იჩენს თავს **იმერეთის წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი** (ქიქოძე), თავის უბადლო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო თხზულებაში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, უცხო წარმომავლობის **ტერმინს** გამაბუნდოვანებელ, „უადგილოდ მოტანილ

უცხოურ ტერმინთა“ რიგში აყენებს, თავად კი მოიმარჯვებს ძველ ქართულ სიტყვა-ცნებას **ცნება**, რომელიც მანამდე დიდებულიად ეწეოდა ამ ახლად შემოკედლებული ლათ. **ტერმინის** მაგვირობას, კერძოდ, წმიდა მამის საგულისხმო სწავლებით:

„**ცნება** ნიშნავს სულის იმ უნარს, რომლის საშუალებითაც იგი ითვისებს ცოდნას, მაშასადამე, იგი ერთგვარად საერთო სახელია ყველა უნარისა... **ცნება** სულის მხოლოდ შემეცნებით მოქმედებას აღნიშნავს. **აზროვნება** ნიშნავს ყურადღების მიპყრობას რაიმეზე, განსჯას, გააზრობას, დასკვნის გაკეთებას, ცნებების, სურვილების, იმედის, ნების ფლობას; ერთი სიტყვით, **აზროვნება** ნიშნავს ყველა სულიერი უნარის გამოვლენას“ (§36, §44 და §47); შდრ. **ტერმინით** („terminus objectivus“, ანუ „terminus conceptus“), ვითარცა გონისმიერი, ანუ სულისმიერი ბუნებრივი ობიექტით, მოიაზრება „არა სახელები, არამედ აზრები, ანუ ის, რაც სახელით აღინიშნება, შეგვეძლო, აგრეთვე გვეთქვა: ცნება, იდეა“ (გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი).

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ძვ. ქართ. **ცნებისა** და ძვ. ქართ. **მცნების** სალექსიკონო განმარტებანი (იხ.: სულხან-საბა ორბელიანი; ნიკო და დავით ჩუბინაშვილი; ილია აბულაძე), შდრ.:

ერთი მხრივ, **ცნება** – „ცნობის ნაწილი“; „მდაბ. ცნობის ნაწილი, ვითა ჭკუა და ცნება; ум и понятие“; „მდაბ. ცნობა; შეგნება; გაგება понятие. сознание. ან მცნება, დარიგება заповедь. наставление“; შდრ.: ძვ. ქართ. **მეცნება** – „ცნება“, **მეცნიერება** – „გულისხმიერება; გონიერება; ცნება“; **მოცნება** – „მცნება; ცნება“;

და, მეორე მხრივ, **მცნება**: „სწავლა, დარიგება, სჯულის დება ღვთის მიერი, გინა უაღრესისაგან наставление. наказъ. заповѣдь. завѣтъ. ათი **მცნება** десять заповедей“; „**მცნება** – ბრძანება, ანუ სჯულისდება ღვთის მიერი, გინა უაღრესთაგან заповедь. завет. // საკუთრად: **ათნი საუფლონი მცნებანი, ღვთისა მიერ მიცემულნი მოსესადმი ... შეგონება**“;

წარმოდგენილი თეზის დასამოწმებლად წმიდა სახარებიდან მოვიხმობთ კატეხიზისური, ჰომილეტიკური და ეგზეგეტიკური სწავლების შემცველ რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც აღბეჭდილია **სიტყვა-ცნებისა** და დღევანდელი **ტერმინის** მნიშვნელობის შემცველი ძველქართული შესატყვისები („სიტყუა“, „გზა“, „ცხორება“...).

სერგეი შოშინი

ჩარლზის უნივერსიტეტი, ჩეხეთი

serguei8@mail.ru

„უცენზურო ლექსიკის“ ცნების მახასიათებლები რუსულსა და რომანულ-გერმანიკული ჯგუფის ზოგ ენაში

ტრადიციულად, მკვლევართა მიერ, რუსული ენა მიჩნეულია სოციალურ და კულტურულ ფენომენად. ეს ერთგვარად მხარს უჭერს ე. მალკოს თვალსაზრისს (Malko E. (2013; <https://www.elibrary.ru/item.asp?id=30393970>). იგივე შეიძლება ითქვას რომანულ-გერმანიკული ჯგუფის ენებზეც. ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას სუბიექტური აზრის ჩამოყალიბებაზე სპეციფიკური ლექსიკური ფორმების გამოყენების დასაშვებობის (მისაღებობის) შესახებ. ეს არის

სუბიექტური ფაქტორებიც და ობიექტური ფაქტორებიც.

რუსეთის ტერიტორიაზე, უფრო ადრე, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოცემულ ნორმატიულ ლექსიკონებში უცენზურო ლექსიკა და ფრაზეოლოგია არ არის ასახული (ვ. ხიმიკი, 2000; <https://search.rsl.ru/ru/record/01000698783>) სწორად მიუთითებდა ამ საინტერესო გარემოებას შედარებით ახალ რუსულ ფილოლოგიაში. ამ თვალსაზრისით, დღეს, როდესაც მიმდინარეობს პროცესი ამ კატეგორიის ლექსიკური ფორმების (კონსტრუქციების) მეცნიერული კვლევისა, ზოგჯერ ვხვდებით სირთულეებს ლექსიკონებში მათი მოძიების მხრივ. ამის მიუხედავად, ასეთი ნორმატიული ლექსიკონების გამოცემის ავტორების (შემდგენლების) ნებისმიერი თვალსაზრისი ჩვენი დღევანდელი გადმოსახედიდან მეტად დასაფასებელია. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო რუსული ენის უცენზურო ლექსიკის ღრმა ისტორიული და შედარებითი მეთოდით შესწავლას აქვს გარკვეული თავისებურებები.

ბევრი რუსი ავტორის აზრით, უცენზურო ლექსიკა მიუღებელია (მასლოვი, ა. 2014:24) <https://search.rsl.ru/ru/record/01007525004>). უცენზურო ლექსიკა, ტრადიციულად, გულისხმობს უხამს სიტყვებს. დღეს რუსული ენის უცენზურო სიტყვების ლექსიკაში უნდა გავარჩიოთ ორი შემადგენელი ნაწილი. ერთ-ერთია რუსული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „русский мат“ (რუსული გინება), ხოლო უცენზურო ლექსიკის მეორე ნაწილი მოიცავს სხვა უცენზურო სიტყვებს, რომლებიც ოფიციალურად არ მიეკუთვნებიან უხამს, უცენზურო ლექსიკას (მათ შორის, არც ზემოთ აღნიშნულ რუსულ გინებას). რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისთვის დამახასიათებელი მიგრაციის პროცესების შედეგად, რუსული უხამსი სიტყვები აღწევდა სხვა ენებში. ამ მხრივ, სამწუხაროდ, რომანულ-გერმანიკული ჯგუფის ენები არ წარმოადგენენ გამონაკლისს. შესაბამისად, მათი ლექსიკის გარკვეული მარაგი გაფართოვდა, გამდიდრდა. ფილოლოგიური კატეგორიების ტრანსფორმირების პროცესის დამახასიათებელი ნიშნები და კატეგორიები დიდად არის დამოკიდებული კონკრეტული მკვლევრის სუბიექტურ აზრზე.

„რუსული გინება“ რუსული ენის გამოკვეთილი დამახასიათებელი ნიშანია. მაგალითად, ლათინურ ენაში, ყველა კატეგორია, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც უცენზურო ლექსიკა, ზუსტად არ ითარგმნება. მაგალითად, უხეში შედარება ამა თუ იმ ცხოველთან, მითითება გონებრივ ან ფიზიკურ ნაკლზე, უხეში შედარება კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან, აშკარა უხამსი ქმედება. ასევე ტრადიციულია სექსუალური თემებისთვის დამახასიათებელი ტერმინების გამოყენება.

ირინე ჩაჩანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
ir.chachanidze@gmail.com

„რომელი გეოგრაფიული სახელი სჯობიან?“ (ტერმინთშემოქმედების საკითხები გაზეთ „ივერიაში“)

მე-19 საუკუნიდან საქართველოში განვითარებულ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით იწყება რუსულ-ქართული ენობრივი კონტაქტების გააქტიურება, რამაც საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, ბუნებრივია, ინტენსიური ხასიათი მიი-

ლო. საქართველოში რუსული ენის ცოდნის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა მთარგმნელობითი საქმიანობა, ლექსიკონებისა და გრამატიკების შედგენის აუცილებლობა. რუსული ენის გავლენა საგრძნობი გახდა ქართული ენის ლექსიკაზე და, შესაბამისად, ენობრივმა კონტაქტებმა ბილინგვური ხასიათი მიიღო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ პერიოდულ გამოცემებში, სხვა ენობრივ საკითხებთან ერთად მწერლები, პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწეები სისტემატურად აქვეყნებდნენ ტერმინთშემოქმედებისადმი მიძღვნილ ინფორმაციულსა თუ სადისკუსიო ხასიათის წერილებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ავალიშვილი, მოსე ჯანაშვილი, გიორგი იოსელიანი, ვანო ჭიჭინაძე და სხვები.

1898 წლის გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაში სახელწოდებით „რომელი გეოგრაფიული სახელი სჯობიან?“, გამოქვეყნებული კორესპონდენციებისა და პოლემიკების მიხედვით მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რუსული გეოგრაფიული ტერმინების „водопад“, „каскад“-ის ქართული შესატყვისი „ჩანჩქერი“ და მისი დიალექტური ვარიანტების საილუსტრაციო მასალა.

ომარ ძაგნიძე

თსუ ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი
omar.dzagnidze@tsu.ge

რიცხვების წერასა და მათ ქართულ წაკითხვას შორის თანხმობისთვის

არსებობს საკმაოდ სოლიდური ლიტერატურა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა შეცვლილიყო რიცხვების ოცობით ქართული წაკითხვა მათი ათობით წაკითხვით. მაგალითად, რიცხვი სამოცის წაკითხვისას გვეხმის „სამი“ და „ოცი“, რომელნიც ჩანაწერში არაა.

მაშასადამე, სადღეისოდ არ გაგვაჩნია ლოგიკური გადასვლა რიცხვის ქართული წაკითხვიდან მის ჩაწერაზე. ბევრმა ავტორმა სხვადასხვა დროს (1882 წ., 1915 წ., 1920 წ., 1923 წ., 1924 წ., 1936 წ.) კონკრეტული ფაქტებით ცხადყო, რომ ასეთი არალოგიკური ბმა რიცხვის წაკითხვასა და მის ჩაწერას შორის, აიძულებს არითმეტიკის შესწავლის დამწყებთ, მექანიკურად დაიხეპირონ გამოთქმულის შესაბამისი რიცხვის ჩაწერა. ამას კი ბევრი პირველკლასელი ვერ ახერხებს და მთთვის ეს ხდება არითმეტიკის, და ზოგჯერ მთელი მათემატიკის, შეძულების მიზეზი.

იმავე ლიტერატურიდან ირკვევა, რომ მაშინ უკვე არსებობდა რიცხვების 20,21,... ათობითი წაკითხვა, რასაც მოსწავლეები ითვისებდნენ ძალიან სწრაფად, უშეცდომოდ და სიხარულის განცდით. ამასთან ერთად, რიცხვების 0,1,2,...,10 ადრინდელი წაკითხვა რჩებოდა უცვლელი.

რადგანაც იმ დროს, მეოცე საუკუნის ოციან და სამოციან წლებში, ცნობილი არ იყო დარჩენილი რიცხვების 11,12,...,19 ისეთი წაკითხვა, რაც თანხმობაში იქნებოდა 20,21,... რიცხვებისთვის უკვე ცნობილ ათობით წაკითხვასთან, ამიტომ ქართულმა ხელისუფლებამ ორივე შემთხვევაში უარი თქვა ნაწილობრივ რეფორმაზე.

ახლა კი ჩვენ შეგვიძლია მარტივად დავადგინოთ 11,12,...,19 რიცხვებისთვისაც ათობითი წაკითხვის წესი, რაც თანხმობაში იქნება ყველა დანარჩენი რიცხვის ათობითი წაკითხვის წესთან.

ნატო წულისკირი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
nato.tsuleiskiri@atsu.edu.ge

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ზოგიერთი სიტყვის განმარტების შესახებ (ბარათი/ავთრათი, ნიშატი/ხასიათი, თაღლითი/მორთული)

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, ერთის მხრივ, ქართული ენის წახდენის შესაკავებლად და, მეორეს მხრივ, მისი მდიდარი ლექსიკური მარაგის მართებული ცოდნისა და გამოყენების მიზნით შექმნილი ფასდაუდებელი განძია. გარდა ორგანული ლექსიკის განმარტებისა, საბას განუზომელ დამსახურებად თამამად უნდა ჩაითვალოს ნასეხები ლექსიკის ქართული შესატყვისებისა და სესხების გენეალოგიის ჩვენება.

ამ მხრივ საგულისხმოა *ბარათი/ავთრათი, ნიშატი/ხასიათი, თაღლითი/მორთული* ლექსემათა წარმომავლობისა და დეფინიციის საკითხი.

სიტყვა *ბარათი* ქართულში თურქულის გზით არაბული ენიდან XVII საუკუნიდან შემოსული ლექსემაა. „ბარათი - სხვათა ენაა, მცირე ნაწერსა ჰქვიან, ქართულად ავთრათი ეწოდების“-წერს საბა.

აღნიშნულმა ერთეულმა ქართულში სემანტიკური ტრანსფორმაცია განიცადა. [ბარათი (სიგელი) > ბარათი (ქაღალდი)]. რაც შეეხება *ავთრათს*, ის ბერძნული „ეტრატიდან“ ჩანს მიღებული, რომელიც ქართულ წერილობით ძეგლებში უკვე IX-XI საუკუნეებიდან ჩანს.

„ნიშატი - ესე არს ბუნებითი ძალი, რომელსა არაბნი ხასიათს უწოდენ (უხმობენ D)“-წერს საბა.

ნიშატი და *ხასიათი*, ორივე, სავარაუდოდ, სპარსულიდან შემოსული არაბული ნასესხობაა ქართულში დაახლოებით XII საუკუნიდან.

„თაღლითი – სხვათა ენაა, ქართულად მორთული ჰქვიან - აღნიშნავს სულხან-საბა. სავარაუდოდ, სიტყვა *თაღლითი* ქართულში არაბულიდან სპარსულის გზითაა შემოსული დაახლოებით XVI საუკუნიდან. მან სემანტიკური ცვლილება განიცადა და *მატყუარას, ცბიერის, თვალთმაქცის* მნიშვნელობით დამკვიდრდა.

მოხსენებაში ვრცლად იქნება საუბარი *ბარათი/ავთრათი, ნიშატი/ხასიათი, თაღლითი/მორთული* ლექსემების შემოსვლის, სემანტიკური ტრანსფორმაციის, სესხების საკითხებსა და სპეციფიკურ მხარეებზე.

სოფიკო ჭაავა

სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
geosofikotchaava@gmail.com

ქართული ტერმინთმომოქმედების ისტორიისათვის (ქართული თუ საერთაშორისო ტერმინები?! 1920-1927 წლები)

1920 წლის სამეცნიერო-საპედაგოგიო ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნებულია სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის მიერ ჩატარებული 2 სხდომის ოქმი (თავმჯდომარე – ივანე ჯავახიშვილი). 22 თებერვლის შეხვედრაზე თავმჯდომარემ მეცნიერებს წარუდგინა მოხსენება ქართული ტერმინოლოგიის ისტორიული განვითარების შესახებ. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილმა დადებითად შეაფასა იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ისა და ანტონ კათოლიკოსის მიერ შექმნილი უაღრესად მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი და ტერმინთმომოქმედების ეტაპები. ამის შემდეგ მეცნიერმა ისაუბრა 1919 წელს უნივერსიტეტის სტუდენტების, მასწავლებლებისა და სხვადასხვა კომისიის მიერ მოძიებულ და აღწერილ ტერმინებზე, რომელთა დამუშავება უნდა გაგრძელებულიყო. სიტყვის დასასრულს, ივ. ჯავახიშვილმა კოლეგებს შესთავაზა ტერმინთა მიღების პრინციპი, რომელმაც დიდი აზრთა სხვადასხვობა გამოიწვია (კამათში მონაწილეობდნენ: ვ. კაკაბაძე, გ. კონიაშვილი, ლ. ნათაძე, ბ. შალამბერიძე, ალ. წერეთელი, ალ. ჯავახიშვილი, კ. ცხ. ბერიძე, ს. დანელია, გ. ახვლედიანი და აკ. შანიძე).

სიტყვით გამოსვლისას პროფესორებმა სამი განსხვავებული მოსაზრება გააჟღერეს. პირველი ნაწილი მხარს უჭერდა მხოლოდ ეროვნული ტერმინების შექმნას, მეორე ნაწილი მოითხოვდა საერთაშორისო ტერმინების შემოღებას, ხოლო მესამე ნაწილი ორივე პრინციპის გაერთიანებას ემხრობოდა (მაგ. გ. ახვლედიანი: „უცხო გადმოღებულ სიტყვას უნდა მიეცეს მშობლიური ენის მოქნილობა“. ა. შანიძე: „ჩვენ უნდა ავიღოთ მასალა ქართული ენიდანაც და აგრეთვე უცხოებიდანაც, ხოლო აუცილებელი უცხო ტერმინს უნდა მივცეთ ქართული აგებულება“). სტატიაში წარმოვადგენთ თითოეული მეცნიერის მიერ თავისი პოზიციის გასამყარებლად გამოთქმულ სხვადასხვა არგუმენტებს.

შეხვედრის ბოლოს ივ. ჯავახიშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ტერმინთმომოქმედების მისეული ხედვა, მისი შეხედულებით: „ქართული ენის სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის საჭიროა, უპირატესობა მიეცეს ან ძველ მწერლობაში და ენაში უკვე არსებულ შესაფერის სიტყვას ან და ქართული ენის კანონებისამებრ შექმნილს ახალ სიტყვას. როცა საჭირო სიტყვა არც ძველს და არც ახალს ენაში არ მოიპოვება და ვერც კომისიამ ვერ შექმნა შესაფერი ახალი ტერმინი, უნდა იქმნას გადმოღებული და გადმოქართულებული უცხო სიტყვა“ (ჟურნ. „განათლება“, 1920, N3, გვ. 77). აღნიშნულ რეზოლუციას მხარი დაუჭირა მეცნიერთა უმრავლესობამ, ერთის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნული პრინციპით აგრძელებდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობასაც. ვფიქრობთ, მართებული იყო მისი პოზიცია, ვინაიდან ზემოაღნიშნული ორი უკიდურესი მიმართულების გაერთიანებით მიღებულ ახალ სამეცნიერო ლექსიკურ ერთეულებში უფრო ზუსტად იქნებოდა გადმოცემული აღსანიშნი ცნების შინაარსი და ქართული ენის ბუნება.

1921 წლიდან უკიდურესად რთულ და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში, ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, სამეცნიერო საბჭოს წევრებმა და ცალკეული დარგობრივი კომისიების წევრებმა შეძლეს ათეულ ათასობით ახალი სამეცნიერო ტერმინის შექმნა. თუმცა, მალევე, ახალი ხელისუფლების ლიდერებმა ტერმინთშემოქმედების პროცესები საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის ნაწილად აქციეს. ამას ადასტურებს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საგანგებოდ შექმნილი ტერმინოლოგიური კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფილიპე მახარაძე. სტატიაში წარმოვადგენთ 1927 წლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ რამდენიმე საინფორმაციო წერილს, რომლებშიც ასახულია დასახელებული ორგანოს მუშაობა.

ნაშრომში ასევე მოცემული იქნება საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1927 წლის სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, რომელშიც გადმოცემულია ფილიპე მახარაძის, შალვა ელიავასა და პაოლო იაშვილის სიტყვით გამოსვლა ტერმინოლოგიურ საკითხებზე.

ჩვენ მიერ მოძიებული მასალებით ჩანს, თუ როგორ შეიცვალა 1920 წლიდან 1927 წლამდე ტერმინთა მიღების მიდგომები. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შემუშავებული მაღალი პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით შეჯერებული პრინციპების ნაცვლად, ფილიპე მახარაძემ მხოლოდ ერთი რადიკალური და მავნებლური დებულება წარუდგინა ქართველ მეცნიერებს შესასრულებლად. მისი მოთხოვნით, ნაციონალური სიტყვების ნაცვლად, ქართულ ენაში უნდა დამკვიდრებულიყო მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალური ტერმინები, რაც უსათუოდ შეაფერხებდა ქართული სიტყვათწარმოებისა და სამეცნიერო ენის სწორად განვითარებას.

დავით ჭელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი, თბილისი

David@tchelidze.com

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი

mzeshina@mail.com

ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დადასტურებული ფიტონიმ იგზლის ადგილის განსაზღვრისათვის „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“

ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ (1949წ., 1961წ.) შექმნის მთავარი მიზანი გახლდათ არა მხოლოდ მცენარეთა მრავალფეროვანი დიალექტური სახელების მოძიება, თავმოყრა და ამ უმდიდრეს მასალაში გარკვეული წესრიგის შეტანა, არამედ მცენარეთა ქართული სამეცნიერო (ოფიციალური) სახელების დამკვიდრება. ამ მიმართულებით მუშაობისას, ჩვენი ვარაუდით, ალ. მაყაშვილისათვის ძირითადი წყაროებია: ქართული ენის დიალექტები (მეტადრე ხევსურული, ფშაური, ქართლური); ძველი ქართული ლექსიკონები; ქართველ მეცნიერთა ნაშრომები (ზ. ყანჩაველი, ივ. ჯავახიშვილი...). ამასთან, ალ. მაყაშვილი თავადაც

ქმნის და ამკვიდრებს სამეცნიერო სახელებს კალკირების (რუსული, ლათინური) და ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან მისადაგებული სიტყვათქმნადობის გზით.

ამ ვარაუდს გამოვთქვამთ ოდენ სალექსიკონო მასალაზე დაკვირვების საფუძველზე, ვინაიდან რაიმე სახის ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ საიდან ირჩევდა ან როგორ ქმნიდა მეცნიერი ოფიციალურ სახელებს, ვერ მოვიძიეთ (გარდა მის საკანდიდატო დისერტაციაში დაცული მწირი ცნობისა). მთავარი დაბრკოლება ისაა, რომ ფიტონიმი, რომელიც ავტორმა მოიწონა და შეარჩია მცენარის სამეცნიერო სახელად (თავსიტყვად), „ბოტანიკურ ლექსიკონში“ არ არის დადასტურებული კუთვნილ ადგილას, ე.ი. არ ჩანს სათანადო წყარო.

ანალიზმა ცხადყო, რომ ოფიციალურ სახელთა შერჩევას ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“ ალ. მაყაშვილისათვის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, ამასთან „ბოტანიკურ ლექსიკონში“ მაინც ვერ აისახა ყველა ფიტონიმი საბას ლექსიკონიდან, მაგალითად, ასეთია **იფხლი**, რომელიც, საბას მიხედვით, იგივე **გვიმრაა**, შდრ.: „**იფხლი** (ბალ.) გვიმრა ZABCb. ქ ე ბ ა-ქ ე ბ ა თ ა ს თ ა რ გ მ ა ნ ი: "მაყვლითა რათ(ა)მე ეკლითა, იფხლითა და ლერწმითა."

ჩვენი მოსაზრებით, საბას **იფხლი** უნდა აღნიშნავდეს გვიმრისმაგვართა კლასის ერთ-ერთ გვარს (**Dryopteris Adans.**), რომელიც მაყაშვილის ლექსიკონში აღნიშნულია სამეცნიერო სახელით **ჩადუნა** (იქვეა სახეობა **მთის ჩადუნა Dryopteris filix mas (L.) Schott**), რაც, ვფიქრობთ, უზუსტობაა, ვინაიდან ამავე „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით, ქართულის დიალექტები ამას არ ადასტურებს. კერძოდ, თუშურში, ფშაურში, ხევსურულსა და კახურში **ჩადუნა** ჰქვია **Matteuccia struthiopteris (L.) Tod.**-ს, რომლის სამეცნიერო სახელად, თავის მხრივ, მაყაშვილს შეურჩევია რუსულის კალკი - **შავი გვიმრა** (რუს. Папоротник черный).

ფიტონიმ **იფხლის** ახალ ლექსიკონში („მცენარეთა სახელების კრებისითი ლექსიკონი“) შემოსატანად და მისთვის კუთვნილი ადგილის მისანიჭებლად, ასევე, გვიმრათა ქართულ სამეცნიერო სახელებს შორის გარკვეული სიზუსტის დასამკვიდრებლად განვახორციელეთ შემდეგი ცვლილებები: **1. ალ. მაყ. ჩადუნა > საბა იფხლი Dryopteris**; **2. ალ. მაყ. მთის ჩადუნა > მთის იფხლი Dryopteris filix mas (L.) Schott** (ამ მცენარეს მთ.-რაჭულში დღესაც უდასტურდება სახელები: **იფხლა, იმხლა**. შდრ., ასევე, სვანური **იფხ „გვიმრა“** (სვანური ლექსიკონი 2000) და ლაზური **ლიმხონა/ლიმხუნა/ლიმხანა „გვიმრა“** (ლაზური ლექსიკონი 2013); **3. ალ. მაყ. შავი გვიმრა > საბა ჩადუნა Matteuccia struthiopteris (L.) Tod.**

თამარ ხატიაშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თბილისი

tamar.xatiashvili@yahoo.com

ქართული „სამხედრო-ტექნიური ლექსიკონი“ 100 წლისაა

მე-20 საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მოვლენების კვალდაკვალ დღის წესრიგში დადგა ტექნიკური და სამხედრო ტერმინოლოგიის შექმნის საკითხი. „მეცნიერების თითქმის ყოველ დარგს და უმეტესად კი სამხედრო მეცნიერებას შეუკრეფელი და დაუმუშავებელი ტერმინოლოგია ჰქონდა“ (ცაგარელი 1920: I). სამხედრო წესდებებისა და

სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესში გამოვლენილმა სირთულეებმა განაპირობა ქართული სამხედრო-ტექნიკური ტერმინების შემუშავება და 1920 წელს გამოიცა პოლკოვნიკ ვლადიმერ (ლადო) ცაგარელის მიერ შედგენილი ქართული „სამხედრო-ტექნიკური“ ლექსიკონი. პირველი ქართული სამხედრო-ტექნიკური ლექსიკონი დღეს 100 წლისაა.

ქართველი ოფიცრების და არა მარტო ოფიცრების, არამედ მეცნიერთა საზოგადოების „ქართული ენით ამეტყველებისთვის“ საჭირო იყო სათანადო ქართული ტერმინების, შესატყვისების მიგნება, რისთვისაც ქართული ენა „მზად“ არ იყო. პოლკოვნიკმა ლ. ცაგარელმა „მხსნელად“ გამოიყენა ძველი ქართული წიგნები და მასალა, ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილი სამხედრო ტერმინებისა და სიტყვების კრებული. „ლ. ცაგარელი დაულაღვად წლობით ჰკრებდა ხალხში ხმარებულს... სახელებს, ეცნობოდა...ძველ წყაროებს“ (ახვლედიანი 1925: VI). პოლკოვნიკი ლ. ცაგარელი სარგებლობდა ტექნიკოსთა „სიტყვართაც“. სამხედრო ტერმინოლოგიის განვითარება ებმის ტექნიკური ტერმინების განვითარებას. სწორედ ტექნიკის დარგში არსებული ჩამორჩენა შეავსო 1920 წელს საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მიერ გამოცემულმა პირველმა ქართულმა ტექნიკურმა ლექსიკონმა (დამბაშიძე 1972: 18), რომელიც წელს 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით იბეჭდება განმეორებით (ქაროსანიძე 2020: 5-34).

100 წლის წინ ქართველი მეცნიერებისა თუ დარგის სპეციალისტების წინაშე წამოჭრილი სირთულე მხოლოდ ქართული ტერმინების უქონლობა კი არ იყო, არამედ ქართული ტერმინების შედგენისა და შეთხზვის გზების ძიება. პოლკოვნიკი ლ. ცაგარელი ცდილობდა როგორც ახალი ფორმების შედგენას, ისე ახალი ფესვების შემოტანას. ერთი რამ ცხადია, თუ 1920 წლის სამხედრო-ტექნიკურ ლექსიკონში ცალსახად ჩანს ტერმინების გაქართულების მცდელობა, 1925 წელს გამოცემულ სამხედრო-ტექნიკურ ლექსიკონში უპირატესობა ლათინურ ძირებს ენიჭება. დღეს ქართული სამხედრო ტერმინების შემოტანა-დამკვიდრებისას სამხედრო დარგის სპეციალისტები თუ ამ სფეროში მომუშავე სხვა დარგის (მთარგმნელები, სტილისტები) სპეციალისტები კვლავ სირთულის წინ დგანან, რადგან სამხედრო ტერმინთა უდიდესი ნაწილი, მაგალითად, ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც, საერთაშორისო ძირებს ეფუძნება (მემმარიაშვილი 2017). „ყველასათვის ნათელია, რომ 21-ე საუკუნის ქართულ სამეცნიერო ენაში ლათინური სიტყვები ჭარბობს. ლათინურმა ტერმინებმა ისევე ჩაანაცვლა ქართული ძირები, როგორც თავის დროზე აღმოსავლური ენებიდან შემოჭრილმა ლექსიკამ...“ ე.წ. საერთაშორისო სიტყვები კი სულაც არ არის საყოველთაო, „საყოველქვეყნო“ (ქაროსანიძე 2020: 29).

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ტექნიკური და სამხედრო ტერმინები ქმნის, აშენებს ერთიან სისტემას, რომელსაც „სამხედრო მეცნიერების ტაძარი“ ჰქვია (ცაგარელი 1920: IV). უდავოა, ტერმინი უნდა იყოს საყოველთაოდ მოსახმარებ და „სახალხოდ მისაღებიც“; თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმდინარე მოვლენების თანადროულად ტერმინები, შესაძლოა, იცვლებოდეს და იხვეწებოდეს, რაც იმის საწინდარია, რომ ტერმინოლოგიის საკითხები ყოველთვის აქტუალური დარჩება, ხოლო „ტერმინოლოგიური მუშაობის ხერხემალი“ – ძირითადი ფონდი, თანამედროვე სალიტერატურო ენასთან ერთად იქნება ძველი ქართული ენის ლექსიკა და ქართული დიალექტური ლექსიკა (დამბაშიძე 1972: 20)... ერის და, შესაბამისად, ენის თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთი გზა სწორედ ქართულ ძირებთან, ფესვებთან დაბრუნებაა; ეს კი არ გამორიცხავს და არ ეწინააღმდეგება დღევანდელ საჭიროებებს, არამედ შეესაბამება თანამედროვე მიდგომებსა და მოთხოვნებს.

დამოწმებანი

ცაგარელი 1920 – ლ. ცაგარელი, წინასიტყვაობის მაგიერ, ლექსიკონი სამხედრო-ტექნიკური, 1920: I-IV;

ახვლედიანი 1925 – გ. ახვლედიანი, წინასიტყვაობა, ლექსიკონი სამხედრო-ტექნიური, 1925: III-VI;

ქაროსანიძე 2020 – ლ. ქაროსანიძე, სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი – 100 წლისაა, კრებული „ტერმინოლოგიის საკითხები“, 2020;

დამბაშიძე 1972 – რ. დამბაშიძე, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, 1972: 18-20;

მემმარიაშვილი 2017 – ე. მემმარიაშვილი, ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2017.

ნინო ხახიაშვილი

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
ninokhakhiaashvili20@gmail.com

სიტყვაწარმოების ერთი საკითხისათვის ქართულში (არ[ა]- და ვერ[ა]- უარყოფითნაწილაკიანი სახელები)

უარყოფა უნივერსალური ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, თუმცა სხვადასხვა ენას მისი გამოხატვის სხვადასხვა საშუალება აქვს: ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური)...

ქართულ ენაში, ჯერ კიდევ ძველი ქართულიდან მომდინარე, არსებობს უარყოფით ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა ჩამოყალიბებული გრამატიკული მოდელი, უარყოფითი ნაწილაკისა (არ[ა]-, ვერ[ა]- და ნუ[რა]-) და კითხვითი სიტყვების (ნაცვალსახელების [ვინ, რა], ზმნიზედების [სადა, გზით, დროს...]) // სახელების [ფერი, ნაირი, ვითარი...] მონაწილეობით [არ[ა]ვინ, ვერ[ა]ვინ, არ[ა]რა, არასადა, ვერასადა, არაოდეს, არასგზით, არაფერი, ვერაფერი, არავითარი, ვერავითარი, ვერანაირი...].

აღსანიშნავია, რომ არ[ა]- უკუთქმითნაწილაკიანი სახელები კატეგორიული მოთხოვნით-ბრძანებითი შინაარსის შემცველია, ხოლო ვერ[ა] ნაწილაკი სახელს შეუძლებლობის, ვერ-შეძლების ნიუანსს სძენს (მდრ. სულხან-საბა: „არა უქმნელობის უარი... ვერა არ ძალ-მიცქმნა...“).

თანამედროვე ქართულში არ[ა]- და ვერ[ა]- უარყოფით თავსართ-ნაწილაკით ნაწარმოებ სახელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება. არ[ა]- ფორმანტი განსაკუთრებით აქტიურია ტერმინების წარმოებისას: არააალებადი, არაადეკვატური, არააკადემიური, არააპრობირებული, არააქცენტირებული, არადისტანციური, არადიფერენცირებული, არაგამტარი... ამგვარ წარმონაქმნთა ხვედრითი წილი მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო იზრდება სალიტერატურო ენაში ოფიციალურ-საქმიანი სტილის გავლენა.

როგორც ბუნებრივ მეტყველებაში, ასევე მწიგნობრულ ენაში მუდმივად მიმდინარეობს ანტონიმურ წყვილთა წარმოქმნა, უფრო ზუსტად კი, რომელიმე „თვისებრივი“ ცნებისთვის საპირისპირო, კონტრასტული შინაარსის ცნების გაჩენა. ამავე დროს, სალიტერატურო ენაში, მით უფრო – მისი ფუნქციონირების ოფიციალურ-საქმიანსა და სამეცნიერო სფეროში ეს პროცესი

ბევრად უფრო ინტენსიურია, რაც სხვადასხვა ფაქტორებით არის გამოწვეული.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის სამუშაოები ხელშესახებად წარმოაჩენს ამგვარ წარმონაქმნთა უკიდურესად გაძლიერების ტენდენციას, რაც შესაბამის ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს.

ამგვარი წარმონაქმნების დამკვიდრების პროცესი ენაში, ცხადია, ერთგვაროვანი არ არის. მათი ნაწილი სტაბილურ ადგილს იმკვიდრებს ანტონიმურ ცნებით სისტემაში (ურცხვი, უქმი, არაჩვეულებრივი, არადამაკმაყოფილებელი, არნახული, არამკითხე [მოამბე], არაკაცი, ვერდამნახავი...), ხშირ შემთხვევაში კი უარყოფის სიტუაციური („ერთჯერადი“) გამოყენების ნიმუშად გვევლინება (არაგონიერი, არანებისმიერი, არადირსი, არდამნახავი, ვერგანცდა, ვერმიხვედრილი, ვერსაფიქრელი, ვერდანახული, ვერგაქცეული, ვერგანკურნებული...).

ცირა ჯანჯღავა

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
cirunaja@gmail.com

კულინარიული ლექსიკის შესახებ მეგრულში

საქართველო კულინარიული კულტურის მაღალი დონით გამორჩეული ქვეყანაა, რომლის თითოეულ კუთხეს თავისი წვლილი შეაქვს ერის კულინარიულ საგანძურში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სამეგრელოს წვლილიც, რაც ასახულია მეგრულ კულინარიულ ლექსიკაში, რომლის მცირე ნაწილსაც ამჯერად წარმოვადგენთ.

1. **ოჭკომალ**-ი || **ოჭკუმალ**-ი, ქართული „საჭმლის“ მსგავსად, საკვების, საზრდოს ზოგადი სახელია. აღნიშნულ მეგრულ სიტყვაში, როგორც ცნობილია, გამოიყოფა **ჭკომ**- || **ჭკუმ**- ძირი, ლაზური **ჭკომ**- || **შკომ**- ისა და ქართულის **ჭამ**-ის ფონეტიკური შესატყვისი, და **ო**-ალ კონფიქსი.

2. **ქობალ**-ი და მისი შესატყვისი ქართული სიტყვა **ხორბალ**-ი სპარსულიდან ნასესხებად მიიჩნევა, მეგრულში – ქართულის მეშვეობით (***ხ** → მეგრ. **ქ**), ოღონდ, ქართულისაგან განსხვავებით, მეგრული სიტყვა ნიშნავს „საკვებ პროდუქტსაც“ და „ერთწლოვან მარცვლოვან მცენარესაც“ (ქართული **პურ** სიტყვის ანალოგიურად). ლაზურში **ქოვალი** || **ქოალი** || **ქუვალი** **ქობალ**-ის ფონეტიკური გარდაქმნის შემდგომ საფეხურს გვიჩვენებს (**ბ** → **ვ**, **ო** → **უ**...).

3. **ღუმუ** „ღომი“ ამჟამად, ჩვეულებრივ, სიმინდის ფქვილისაგან დამზადებულ ფაფისებურ საჭმელს აღნიშნავს, თუმცა ადრე (სიმინდის დამკვიდრებამდე) ღომს პურეული მცენარის – ღომის ფქვილისაგან ამზადებდნენ და მას **ღუმუმ ღუმუ** „ღომის ღომი“ ერქვა (ახლა ასეთ ღომს იშვიათად ამზადებენ); მისი პარალელური ტერმინია **ჩხვერიშ ღუმუ** (ლაზ. **ჩხვარი ღომუ**).

მეგრული **ღუმუ** და ლაზური **ღომუ** ქართული **ღომ**-ის ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისია.

4. **ელარჯ**-ი ღომში ახალი სულუგუნის ან სასულუგუნე ჭყინტი ყველის ჩაზელვით მიღებული საჭმელია. მეგრულიდან ეს სიტყვა ქართულ სალიტერატურო ენაშიც დამკვიდრდა. გვხვდება აფხაზურში **აილაჯ** ფორმით. ბ. გიგინეიშვილის აზრით, მეგრულ **ელარჯ**-ში **ელა**-

ზმნისწინი უნდა იყოს, **რჯ** – ზმნური ძირი, რომლის წარმომავლობა უცნობია.

5. **გებუალია** „შეკმაზული ახალი სულუგუნი“. სიტყვაში გამოიყოფა **ბჟა** „რძე“, **გე** – ზმნისწინი და **-ია** სუფიქსი. ამ კერძის მომზადების პროცესს **გებუალაფა** ეწოდება.

6. **მემაგილი**-ი „თბილ ღომში დანამცეცებული ჭყინტი ყველის შერევის შედეგად მიღებული საჭმელი“. ჩვეულებრივ, აჭმევენ პატარა ბავშვებს. **მაგ** – ზმნური ძირია, **მე** – ზმნისწინი, **-ილ** – ნამყო დროის მიმღობის მაწარმოებელი.

7. **ჩემქვა** „რძეში მოხარშული ღომი“ (ო. ქაჯაია), „რძეში მოხარშული ელარჯი“ (ა. ქობალია). ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილი „მასალები“ მეორე განმარტებას უჭერს მხარს. აფხაზურში **აჩამეკუა** არის „ყველითა და რძით გაკეთებული ღომი“ (ბ. ჯანაშია).

8. **ჭვიშტარ**-ი || **ჭვიშთარ**-ი ყველიანი და ყველისგულიანი გამომცხვარი მჭადია. სვანურში გვაქვს **ჭიშდუარ** „სიმინდის ან ფეტვის ყველნარევი ნამცხვარი“. მეგრული სიტყვა ნასესხები ჩანს სვანურიდან.

9. მეგრული **ცვალ** სიტყვა ქართული **ყველ**-ის ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისია. ყველის რამდენიმე სახეობა გამოიყოფა: **ჭყინტ ცვალი** „ჭყინტი ყველი“; **ჭალაცვალი** „ახლად ამოყვანილი ყველი“ (ი. ყიფშიძე), „ჭყინტი, ნასვრეტებიანი ყველი“ (ა. ქობალია); **სელეგინი** „სულუგუნი“; **კაზლა** || **კაზილა ცვალი** „დამარილებული ჭყინტი ყველი“ (პარალელური ტერმინია **კიბეცვალი**); **ბეჭილია** || **ბეჭილია ცვალი** „წნული ყველი“; **ხომლა ცვალი** „გამხმარი სულუგუნი“...

„შრატს“ მეგრულში **წაქა** ეწოდება, ხოლო მისი დუდილისა და მისგან ნადულის (ხაჭოს) ამოღების შემდეგ დარჩენილ სითხეს – **წრუქი** (შდრ. ქართ. დიალ. **წაქი** || **წაქა** და **წურუქი** || **წურუქა**).

10. **კვარწახი** „კვარწახი, ტყემლის საწებელი“. მისი დუდილის შედეგად მიღებულ შესქელებულ და მუქი ფერის საწებელს **კობა**-ს უწოდებენ.

11. **სუნელ**-ი მეგრულში ნიშნავს როგორც „**სუნელ**-ს“, ისე სანელებელს, რომელიც მზადდება სხვადასხვა მწვანელობის ერთად დანაყვით. ნიგვზიან სუნელს **კაჭაბე** ან **ნეძობამ სუნელი** ჰქვია. სუნელის სახეობაა **აჯიკა** „ერთად დანაყული მარილი, წიწაკა და სხვა სანელებლები“ (შდრ. აფხ. **აჯიკა** „მარილი; აჯიკა“).

12. **წვანერ**-ი მეგრულში მწვანელობას ალნიშნავს და ბოსტნეულის, ეკალას, ჭინჭრისა თუ ჯიჯლაყისაგან დამზადებულ მხალეულ საჭმელსაც. **წვანერი** ქართული სალიტერატურო ენის **მწვანელი**-ის ფონეტიკური გარდაქმნის შედეგადაა მიღებული.

ბუნებრივია, აქ მეგრული კულინარიული ლექსიკის მხოლოდ გარკვეული რაოდენობა განვიხილეთ. სამომავლოდ ვვარაუდობთ სხვა, ანალოგიურ ლექსიკურ ერთეულებსაც შევეხოთ, აგრეთვე, წარმოვადგინოთ კულინარიასთან დაკავშირებული ჭურჭლეულის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ანალიზი.